კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№16 (1558) 19 – 25 მაისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

თბილისში ცნობილი „ავტორიტეტი“ მოკლეს

ვინ არის ქალი, რომელმაც მკვლელობა დაგეგმა

სააკაშვილ-მელიას დილემა



შევლენ? – ინანებენ, არ შევლენ? – ინანებენ

„შესაძლოა, ატომური იარაღიც გამოიყენონ“

„ჩემი შვილი, რომელიც დედით ებრაელია, მზადაა, ისრაელისთვის თავი გასწიროს“ – სკანდალური ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

პანდემიით დაზარალებულ საწარმოებს მსოფლიო ბანკი დაეხმარება

85 მილიონი ევრო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის – რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ გადასახადების გადამხდელები

რა მოხდა დმანისში – ამირან სალუქვაძის შეფასებები

„ქვეყანა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს არ უნდა გადავაყოლოთ და თავზე არ უნდა დავიმხოთ!“

რა არის პატრიოტიზმი

სალომე ნოზაძე

ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სულისკვეთებითა და პატრიოტიზმით, ძველად პატრიოტიზმი მეფისა და სამშობლოს სიყვარულსა და მათთვის თავდაუზოგავ, გმირულ ბრძოლაში გამოიხატებოდა. პატრიოტები იყვნენ ის მამაცი და მხნე მებრძოლები, რომლებიც მეფისა და ქვეყნისთვის მზად იყვნენ, ნებისმიერ მტერს შეწინააღმდეგებოდნენ. მათი პატრიოტიზმის წყალობით, მტერი ვერასდროს იმონებდა ქართველებს სულიერად და სწორედ გმირების შეუპოვარმა ბრძოლამ გადაარჩინა ქართული გენი, თუმცა მას შემდეგ სამყარო შეიცვალა – სწრაფად განვითარდა ტექნოლოგიები, ჩამოყალიბდა ახალი ღირებულებები, შეიცვალა ხედვა და სიტყვის – „პატრიოტიზმი“ მნიშვნელობა ტრანსფორმირდა, ან საერთოდაც დაიკარგა.

ანწუხელიძის სამშობლოდან „უცნობის“ სამშობლომდე

ჩვენს რეალობაში, ქართველების უმეტესობა სამშობლოსადმი სიყვარულს სადღეგრძელოებში გამოხატავს – ხშირად შევხვდებით სუფრებზე მამაკაცების პაექრობას სადღეგრძელოებსა და განსახვავებული სასმისების გამოცლაში. თითქოს, ისინი ამით უმტკიცებენ ერთმანეთს ქვეყნის სიყვარულს, კამათობენ, განიხილავენ და ასე ეჯიბრებიან ერთმანეთს კაცობასა თუ პატრიოტიზმში.

წინა საუკუნეებში თუ გმირულად იბრძოდნენ ქვეყნის წინაშე და ასე გამოხატავდნენ საქართველოს სიყვარულს, ახლა რა ხდება? ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებიც უთქმელად, საკუთარი საქციელით ამტკიცებენ პატრიოტიზმს, მაგრამ რატომ არის, რომ უმეტესობას სიტყვა „პატრიოტიზმი“ არასწორად (ჩემი აზრით, რა თქმა უნდა) ესმის?!

ადამიანი, რომელიც უნიათი, უსაქმურია და მხოლოდ სადღეგრძელოებში, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ამტკიცებს სამშობლოს სიყვარულს, თითქოს, გვიკარგავს პატრიოტიზმის დადებით აღქმას. ჩემი აზრით, ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ, აკეთებენ საკუთარ საქმეს და ორიენტირებულები არიან განვითარებისკენ, თავისთავად პატრიოტები არიან.

ილია წერდა: **„სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი და ფილოსოფიური შეხედულებანი, მისი გულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი“.**

უნდა შევთანხმდეთ, რომ სამშობლოს სიყვარული მხოლოდ სუფრასთან, საქართველოს სადღეგრძელოს შესმითა და გულზე მჯიღის ცემით არ განისაზღვრება. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის მებრძოლი თითოეული ადამიანი გმირია, თუმცა დღეს შეიცვალა დრო და მხოლოდ ბრძოლის ველზე ყოფნა არ განაპირობებს ქვეყნის სიყვარულს. ჩვენ, ქართველები, უძველესი ისტორიისა და კულტურის მატარებელი ერი, საერთოდ არ ვუფრთხილდებით ჩვენს საგანძურს, უფლებას ვაძლევთ შინაურ თუ გარეშე მტრებს, თანამედროვე „პატრიოტიზმს“ ამოფარებულებმა გვებრძოლონ და გამოუთხარონ ძირი ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ამის მერე გამოვდივართ და ერთმანეთს მივუთითებთ, ჭკუის სწავლებითა და ლამაზი სიტყვებით ვეჯიბრებით – ვინ უფრო დიდი პატრიოტია.

პატრიოტიზმს იბრალებენ ჩვენს რეალობაში პოლიტიკოსები, რომლებიც მხოლოდ ყბედობით გვიმტკიცებენ საქართველოს სიყვარულს. სახელმწიფო დროშა, ჩვენი ეროვნული სიმბოლო, რომელიც ადამიანების უმეტესი ნაწილისთვის სიწმინდესთან არის ასოცირებული, ფსევდოპატრიოტიზმით შეპყრობილმა ადამიანებმა არაფრად ჩააგდეს და ზედ გადაუარეს; უცნობი (კარგად ნაცნობი, გიორგი გაჩეჩილაძე), რომელიც ყოველთვის გვაჯერებს თავის სიყვარულს ქვეყნისადმი, ერთ-ერთ აქციაზე დროშას არაფრად აგდებს, თუმცა მას რომ ვკითხოთ, პატრიოტია. თუმცა ის კი ავიწყდება, რომ ეს ის დროშაა, რომელიც გიორგი ანწუხელიძემ ცხინვალში, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა – როცა ტყვედჩავარდნილს, მისი გათელვა სთხოვეს, საქართველოს დროშას ფეხი არ დაადგა, რუსებს ბოდიში არ მოუხადა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ რუსმა სამხედროებმა გიორგი ანწუხელიძე ჯერ სასტიკად აწამეს და შემდეგ მოკლეს. ეს ორი ფაქტი, ორი სხვადასხვა ადამიანის ქმედება, პატრიოტიზმისა და ფსევდოპატრიოტიზმის ნათელი მაგალითია. პატრიოტიზმის მაგალითია გიორგი ტატუნაშვილისა და იმ ქართველი ვაჟკაცების ცხოვრება, რომლებიც სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირნენ, სიტყვით პატრიოტები კი სწორედ მათ გმირობას იყენებენ ფარად, საკუთარი ლაჩრობის შესანიღბად.

რატომ შემაწუხა ამ კითხვამ 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღეს? – ალბათ, იმიტომ, რომ მოახლოებული არჩევნებისა თუ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, ისრაელში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, როცა სოციალურ ქსელში, ყოველდღიურად, თვალში გხვდება ებრაელთა თავგანწირული ბრძოლა ისრაელისთვის, უცნაური სევდა გიპყრობს, სევდა იმის გამო, რომ საქართველო ოკუპირებულია და სწორედ დღეს გვჭირდებიან ნამდვილი პატრიოტები – ანწუხელიძეები, ტატუნაშვილები, შინდისის გმირები, სწორედ ისეთი ქალბატონები, ერთ ხელში რომ ავტომატები უჭირავთ და მეორე ხელით ჩვილ ბავშვებს უვლიან.

ეროვნული თავისუფლება პიროვნული თავისუფლებით იწყება და თუ გვსურს ქვეყნის გადარჩენა და განვითარება, ჯერ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ – რა არის ჩვენთვის „სამშობლოს გრძნობა განსაცვიფრები“ (როგორც გალაკტიონი უწოდებდა)? ვაცნობიერებთ თუ არა, რომ გაბოროტებული, ჭორიკანა, ღვარძლიანი ადამიანები, რომლებიც არც საკუთარ ოჯახს უფრთხილდებიან და არც მოყვასს, უპირველესად, იმ ქვეყანას მტრობენ, სადაც ცხოვრობენ და შვილებს ზრდიან?! უფიქრიათ კი ოდესმე, რომ საქართველო ვერასდროს გამოვა ამ მოჯადოებული წრიდან, თუ ყველა ოჯახში არ იქნება სიმშვიდე, სიყვარული, პატივისცემა, თუ ყველა ქართველი ბირჟაზე დგომის ნაცვლად, იმ საქმეს გააკეთებს, რომელიც უყვარს, სხვის გადმოგდებულ ლუკმას კი არ დაელოდება და მათხოვრის ფსიქოლოგიით კი არ იცხოვრებს, თავად შექმნის საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას?! თუ ყველა ქართველი თავის გაზრდილ შვილს არ ასწავლის, რომ ყველა ადამიანს საკუთარი ვალდებულება აქვს სამშობლოს წინაშე, რადგან გიორგი ანწუხელიძის დაღვრილი სისხლი გიორგი ანწუხელიძის წილია და ყველას საკუთარი ვალი აქვს გადასახდელი!

თუმცა, ზნეობრივი და გმირული მაგალითებით საზოგადოების უზნეო და ლაჩარ ნაწილს ვერაფერს შეასმენ – არც ლაჩრების დაბრუნებული სამშობლო ახსოვს ისტორიას, ჰოდა, სანამ სადღეგრძელოს სათქმელად ჭიქას ავწევთ და ჭკუის დარიგებას, ან ლანძღვას დავიწყებთ, საკუთარ თავს ვკითხოთ – ჩვენ რა გავაკეთეთ (ან ვაკეთებთ) სამშობლოსთვის?!

სააკაშვილ-მელიას დილემა

შევლენ? – ინანებენ, არ შევლენ? – ინანებენ

ნინო დოლიძე

ის გამოთქმა ხომ გახსოვთ, კრება დარჩა მხიარულიო? – სიმართლე გითხრათ, ამ ფრთიანი ფრაზის ეტიმოლოგია ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ თუ სკურპულოზულად დავაკვირდებით, „კრების მხიარულად დარჩენის“ მეტაფორა დღევანდელ ოპოზიციას ნამდვილად შეესაბამება ანუ მიუხედავად იმისა, რომ 31 ოქტომბრის არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევდნენ და ამის გამო, თითქმის ნახევარი წელი ქუჩაში, ესე იგი, ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ, ახლა ოპოზიციონერი ლიდერები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესვლას ერთმანეთს ასწრებენ. შესაბამისად, ამ ფონზე საკითხავია, რა აზრი ჰქონდა ექვსთვიან „შეურიგებელ პროტესტს“, ან ახლა რა გამარჯვებას ზეიმობს ოპოზიცია?

ისე, ჩვენში დარჩეს და, უმრავლესობის წარმომადგენელმა, ალუდა ღუდუშაურმა კარგად თქვა, სამადაშვილი-ჯაფარიძე ირიბად აღიარებენ, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულაო.

„ჩვენ, რამდენიმე დღის წინ, ბადრი ჯაფარიძის, ასევე, სალომე სამადაშვილის მხრიდან მოვისმინეთ 2020 წლის არჩევნების რბილად აღიარება, როცა მათ განაცხადეს, რომ არჩევნები იყო ლეგიტიმაციის ზღვარზე. მათ დღეს კითხვის ნიშნები არ გააჩნიათ, ხოლო თუ ვინმეს რაიმე აქვს იმის დამამტკიცებელი, რომ არჩევნებმა ჩაიარა დარღვევებით, ეს წარმოადგინონ, თვითონ მიიღონ მონაწილეობა, კეთილი ინებონ და შემობრძანდნენ კომისიაში. კომისია ყველა ასეთ კითხვას წერტილს დაუსვამს. მათ იციან, რომ არ აქვთ არც ერთი მტკიცებულება, რადგან ყველა საერთაშორისო პარტნიორმა დასვა წერტილი და თქვა, რომ არანაირი კითხვის ნიშანი არ არსებობს, ამიტომ მათ აქვთ ერთადერთი მიზანი, რომ როგორმე მოახდინონ საგამოძიებო კომისიის დისკრედიტაცია, თუმცა კომისია იქნება უაღრესად ეფექტური“, – განაცხადა ღუდუშაურმა.

საერთოდ, იმაში მოულოდნელობა, რომ სამადაშვილმა პარლამენტში შესვლის გადაწყვეტოლება მიიღო, არაფერი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციაში, დიდი ხანია, იცოდნენ, რომ ეს ქალბატონი საკანონმდებლო ორგანოში, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შევიდოდა. უფრო მეტიც, როგორც „ვერსიას“ წყაროები ეუბნებიან, ს.ს. ანუ სამადაშვილი სალომე, ჯერ კიდევ 1 ნოემბერს ყოფილა მოწადინებული, რაის ბოიკოტი, პარლამენტში უნდა შევიდეო, მაგრამ მერე, როგორც ამბობენ, პოლიტიკურ სინდისს შეუწუხებია და უთქვამს, ჯანდაბას, ცოტა ხანს მეც „ბოიკოტისტი“ ვიქნები, მერე კი, ვნახოთ, რა მოხდებაო.

მოკლედ, ეს „მერე“ დადგა და სამადაშვილი პირველი ნაციონალი გახლდათ, რომელმაც შარლ მიშელის 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწერა, თანაც ისე, რომ ამის შესახებ, მისმა აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელების უმეტესობამ არაფერი იცოდა.

ამასთან, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ს.ს.-მ ზემოხსენებულ დოკუმენტზე ხელმოწერა პიროვნულად კი არა, არამედ, ენმ-ს სახელით გააკეთა.

სხვათა შორის, ს.ს-ზე მოსწრებულად იხუმრა პარტია „კანონი და სამართლის“ თავმჯდომარე თაკო ჩარკვიანმა.

„ცუდია, როცა პოლიტიკოსისგან მხოლოდ „ბროშკა“, გულქანდა დარჩება... და ეს „იცოდა“, ასე ფიქრობდა და ამ პარტიიდან იყარა კენჭი სულ ცოტა ხნის წინ, თან გულმხურვალე გინებაც გვახსოვს უშვერი, ქუჩური სიტყვებით, „ინტელექტით გამოთქმული“, სანამ სიაში შეიყვანდნენ, ცუდია, როცა პოლიტიკოსისგან მხოლოდ „ბროშკა“, გულქანდა დარჩება“, – დაწერა ჩარკვიანმა სოციალურ ქსელში.

ერთი სიტყვით, „ოცნებამ“ ოპოზიცია, როგორც იტყვიან, კუთხეში მიიმწყვდია. ახლა, ამ შეფასებას, შესაძლოა, ბევრი არ დაეთანხმოს, მაგრამ დღევანდელი მოცემულობით, „ანტიქოცები“ წაგებულები არიან, რასაც ისიც მოწმობს, რომ უმრავლესობა ოპოზიციას ამუნათებს და სთხოვს, რომ იგივე ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას ბოდიში მოუხადოს ბულინგისა და ცილისწამებისთვის.

„მე არ ვიცი, თამარ ჟვანიას პირადი გეგმები როგორია, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი, რომ იმ აღვირახსნილი კამპანიის შემდეგ, რაც ოპოზიციამ თამარ ჟვანიას წინააღმდეგ აწარმოა, თან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ის ოპოზიციონერები, რომლებიც გაყალბებული არჩევნების შემოქმედნი იყვნენ, სულ მცირე, მორალური უფლება რომ მოიპოვონ თამარ ჟვანიას მომავალზე საუბრისთვის, მოკრძალებული ბოდიში მაინც უნდა მოიხადონ ე.წ.გაყალბებული არჩევნებისა და თამარ ჟვანიას, როგორც ადამიანის დემონიზაციისა და ბულინგის გამო“, – განაცხადა რამდენიმე დღის წინ, უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი ქადაგიშვილმა.

ასე და ამგვარად, ოპოზიციას კრიტიკული დღეები აქვს, რასაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაურკვეველი პოზიციაც ამძაფრებს ანუ ყოფილი მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი მზადაა, რომ 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწეროს და პარლამენტში შევიდეს. ნაწილი კი, მაგალითად, გია ბარამიძე პარლამენტში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგია.

საკუთარი აზრი ამ თემაზე ღიად არ დაუფიქსირებია ენმ-ს თავმჯდომარე ნიკა მელიას, რომელიც რამდენიმე დღის წინ, კიევში გაემგზავრა და მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

ზოგადად, ხმა დადის, რომ მელია და სააკაშვილი ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. იმას, რომ გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა აქვთ, თავად მელიაც ადასტურებს, თუმცა იმასაც ამბობს, რომ მასა და სააკაშვილს შორის, „ჩორტს“ ვერავინ ჩამოაგდებს.

ისე, სააკაშვილი, როგორც მისი განცხადებებიდან ჩანს, მომხრეა, რომ ენმ პარლამენტში შევიდეს. ყოველ შემთხვევაში, 19 აპრილის შეთანხმებაზე ცალკეული ოპოზიციონერების მიერ ხელმოწერის შემდეგ, მიშამ საკუთარ პარტიას ღიად მოუწოდა, როცა მელია ციხიდან გამოვა, სჯობს, მუშაობა პარლამენტში გავაგრძელოთო.

მელია თავისუფალია, ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობის“ იმ წევრებს, რომლებიც სააკაშვილის მიმდევრებად ითვლებიან, გული პარლამენტისკენ მიუწევთ, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ დღეს, ყოფილ მმართველ პარტიაში, მელიას ფრთა უფრო ძლიერია. მელია კი, „სახალხო ლიდერის“ იმიჯს ირგებს ანუ ამბობს, რომ გადაწყვეტილებას ხალხთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.

რაზე ისაუბრეს კიევში ენმ-ს ყოფილმა და მოქმედმა თავჯდომარემ, უცნობია – არსებული ინფორმაციით, ამ შეხვედრის დეტალები მომავალ კვირას გახმაურდება და შესაბამისად, მომავალ კვირასვე გახდება ცნობილი, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შედის თუ ბრძოლას გარედან აგრძელებს.

იმ შემთხვევაში, თუ გარეთ დარჩა, ენმ, როგორც ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია, გავლენას დაკარგავს. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო ტრიბუნას ვერ გამოიყენებს, რაც მინიმუმ, იმით მაინც დააზიანებს, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგს ვერ შექმნის, მაგრამ თუ პარლამენტში შევა, კარგი დღე არც მაშინ ელის, რადგან ამომრჩევლის ის ნაწილი, რომელიც იმთავითვე ენმ-ს მხარდამჭერი და ამომრჩეველია, კატეგორიული წინააღმდეგია, რომ ექსმმართელი პარტია პარლამენტში შევიდეს, რადგან ამით 31 ოქტომბრის არჩევნების ერთგვარი ლეგიტიმაცია მოხდება.

ერთი სიტყვით, სააკაშვილი და მელიაც დილემის წინაშე დგანან: შევლენ? – ინანებენ, არ შევლენ? – შესაძლოა, უფრო მეტადაც ინანონ და გამორიცხული არაა, საქმე ენმ-ს დაშლამდეც მივიდეს ანუ მელიამ თავისი ხალხი წაიყვანოს და ახალი პარტია შექმნას, თუმცა ეს საკითხი, როგორც „ვერსიის“ წყაროები ამბობენ, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

რა მოხდა დმანისში – ამირან სალუქვაძის შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ქვეყანა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს არ უნდა გადავაყოლოთ და თავზე არ უნდა დავიმხოთ!“

დმანისში მასშტაბური კონფლიქტი შერიგებით დასრულდა. მხარეებმა, ორდღიანი მწვავე დაპირისპირების შემდეგ, ერთმანეთს ხელი საჯაროდ ჩამოართვეს და პირობა დადეს, რომ კონფლიქტს აღარ გააგრძელებენ, თუმცა ის, რასაც ორი დღის განმავლობაში, დმანისში ვხედავდით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ უმძიმესი სანახავი იყო. ადგილობრივებს, კერძოდ, აზერბაიჯანელებსა და სვანებს შორის, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ჩხუბი მასშტაბურ კონფლიქტში, ხელკეტებით დაპირისპირებასა და ქვების სროლაში გადაიზარდა, დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ყველაფერ ამან კი გააჩინა განცდა, რომ შესაძლებელი იყო, პროცესები უმართავი გამხდარიყო... დმანისის კადრებმა, რამდენიმე წლის წინ, ბათუმში მომხდარი კონფლიქტური „აფეთქება“ გამახსენა... მაინც, რა მოხდა დმანისში – ყოფით ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი, თუ ეთნიკური დაპირისპირების ნიშნების შემცველი შუღლის გაღვივების მცდელობა? – „ვერსია“ ანალიტიკოს ამირან სალუქვაძეს ესაუბრა:

– სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რომ სიტყვა „ეთნიკური“ გამოვიყენოთ, როცა ეთნიკურობაზე მინიშნება არ ყოფილა. ასეთი კონფლიქტი არ არსებობს, რაც ეს ადამიანები ერთად ცხოვრობენ და ზოგადად, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არ არსებობს რამე ეთნიკური პრობლემა, მით უმეტეს აზერბაიჯანლებს, რომლებიც ჩვენი მოქალაქეები არიან და ქართველებს, არასდროს ჰქონიათ მსგავსი პრობლემა.

ამ ტერმინის გამოყენება, რაც ტრიალებდა ამ ორი დღის განმავლობაში, იყო პროვოკაციული და მავნებლური. არც ერთ სახელმწიფოში მსგავს რამეს არ დაუშვებენ და კანონით გათვალისწინებულ ზომებს მიიღებდნენ იმიტომ, რომ ეს არის შუღლის გაღვივება.

განცხადებები, რაც კეთდებოდა გარკვეულ მედიასაშუალებებში, შემფასებლების მიერ, რომლებსაც ანალიტიკოსებსა და ექსპერტებს, პოლიტიკოსებს ვუწოდებთ ხოლმე, იყო მავნებლური. რა საფუძველი არსებობს, რომ ჩვენ ასეთი შეფასებები გავაკეთოთ? იყო ეს მხოლოდ ვარაუდები, თუ ვინმეს სურვილები, რომ ასეთი კონფლიქტი არსებობდეს?! ჩემი აზრით, უფრო სურვილებია...

შერიგდნენ ეს ადამიანები, ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ქართველებს რომ ეჩხუბათ და შერიგებულიყვნენ, ეთნიკური დაპირისპირება იქნებოდა?! ვიცით, რომ მაღაზიაში მოხდა ყოფით ნიადაგზე ჩხუბი და შემდეგ, ვინ ვის დაუძახა... თავისთავად, მეგობრები მეგობრებს ეძახიან ხოლმე, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

რაში გადაიზარდა, ეს უკვე სხვა თემაა და რომც მქონდეს რამე ვარაუდები, არც ვისაუბრებდი საჯაროდ იმიტომ, რომ ეს უპასუხისმგებლობა და წაქეზებაა.

შერიგებულ ადამიანებს რატომ უნდა უჩხრიკო, რა მიზეზით იჩხუბეს? როცა შერიგდნენ და ხელი ჩამოართვეს საჯაროდ, იქ მიზეზები აღარც თავად უნდა არკვიონ და არც – ჩვენ. ამისთვის არსებობს სათანადო სტრუქტურები. ამიტომაც იყო იქ ორივე ძალოვანი მინისტრი ჩასული და დარწმუნებული ვარ, იმოქმედებენ, თუ რაიმე მსგავსი არსებობს.

გარდა ამისა, არიან დაშავებულები და სრულიად შესაძლებელია, სამართალდამცავ სტრუქტურებს მოუწიოთ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება და ამას სარჩული არ უნდა დავუდოთ.

ყოველთვის ასე უნდა ვისაუბროთ – საქართველოში ცხოვრობენ საქართველოს მოქალაქეები, ხდება ჩხუბი, მკვლელობები, სხვა ძალადობა საქართველოს მოქალაქეებს შორის და „ჩასახლებული და გადასახლებული“ არასწორად გამოყენებული ტერმინებია. ამის ახსნა-განმარტება მოქალაქეებს კი არა, მედიასა და პოლიტიკოსებს სჭირდებათ, რადგან ეშლებათ...

– ბატონო ამირან, ალბათ, ვთანხმდებით, რომ ძალიან მძიმე სანახავი იყო დმანისის მოვლენები... ზოგადად, ასეთი მასშტაბური „აფეთქება“ სპონტანურად ხდება ხოლმე, თუ შესაძლოა, არსებობდეს უფრო ღრმა და დაფარული პრობლემა, რომლის გარკვევაც აუცილებელია, რადგან ისევ არ განმეორდეს მსგავსი ინციდენტი?

– სკოლაში გვიჩხუბია, დაახლოებით, 30-ს 30-ზე, რაც სპონტანურად ხდებოდა. ვიღაცამ ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენა და ვიჩხუბეთ, დიდხანს ვჩხუბობდით, ვერც მილიციამ მოასწრო მოსვლა, ვერც – სკოლამ და სანამ არ დავტყეპეთ კარგად ერთმანეთი, არ მოვისვენეთ. ჩხუბი სპონტანურად ხდება ყოველთვის... დანარჩენზე კი გიპასუხეთ, თუ არის დალექილი რაიმე, ამას მიხედავენ შესაბამისი სამსახურები. ყველაფერი ეს, მედიამ გააზვიადა, როცა ერთსა და იმავე დროს, ერთი ტელევიზია აჩვენებდა კადრებს, როგორ შერიგდნენ და იმავდროულად, მეორე ტელევიზია საუბრობდა, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებდა სიტუაციის დარეგულირებას.

– ისე, ბატონო ამირან, ყველაფერ ამას პოლიტიკურ ჭრილში რომ შეხვედოთ, კარს მომდგარია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო კამპანიის დასაწყისში ხდება მსგავსი სენსიტიური თემის წამოწევა... ხომ არ ვარაუდობთ, რომ შესაძლოა, საქმე განზრახ პროვოკაციასთან, ან კონფლიქტის არასწორი მიმართულებით გაგრძელებასთან გვქონდეს?

– ვარაუდები, რა თქმა უნდა, ბევრს აქვს და ბევრი მოქალაქე გამოთქვამს ეჭვს, რომ ეს იყო პროვოცირებული შიდაპოლიტიკური ძალების მიერ და ვინ მართავს იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც ცდილობდნენ, ისე წარმოეჩინათ, როგორც უმართავი პროცესი და ეჩვენებინათ, რომ ხელისუფლება უსუსურია, რომელიც ვერ აგვარებს პრობლემას, ამის ახსნა, მგონი, არაა ჩვენი მკითხველისთვის საჭირო. ვერც თავს ვაკადრებ და ვერც მკითხველს, რომ ვარაუდების დონეზე ვთქვა, რა მოხდა. შესაძლოა, იყო პროვოცირებული ეს ჩხუბი... შესაძლოა, მართლაც, ყოფით ნიადაგზე მოხდა და შემდეგ ისარგებლეს, ამის ოსტატები კი არიან ჩვენთან, იციან, როგორ გამოიყენონ შიდაპოლიტიკური დაპირისპირებებისთვის მსგავსი ფაქტები, ამის უამრავი მაგალითი მინახავს და როცა მედიასაშულებები დავით გარეჯზე იწყებენ ამ დროს საუბარს, ეს ძალიან ბევრ კითხვას ბადებს.

საერთოდ, ნებისმიერი კრიზისის დროს, მსგავსი მწვავე მოვლენები ეხება ყველას და არ უნდა იყოს საუბარი, რომ ხელისუფლების მოსაგვარებელია ყველაფერი. თითოეული ჩვენგანის მოსაგვარებელია და ყველას გვეხება ეს პრობლემები. ამ დროს კი ისეთი შთაბეჭდილება მექნება ჩვენი საზოაგდოების ნაწილის მიმართ, რომ სხვა ქვეყნიდან გვაკვირდებიან.

– ხელისუფლებასაც მართებს ძალისხმევაცა და ყურადღებაც, მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით. ამიტომ სთხოვენ ხელისუფლებას პასუხს და უნდა მოსთხოვონ კიდეც, არ მეთანხმებით?

– ხელისუფლება ყოველთვის ყველაფერზეა პასუხისმგებელი, ეს აქსიომაა და რა თქმა უნდა, ხელისუფლების მოსაგვარებელი იყო ეს კონფლიქტური სიტუაციაც. ვთქვი, მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არ არის-მეთქი, ყველას პრობლემაა, ვინც აქ ვცხოვრობთ. ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს არ უნდა გადავაყოლოთ და თავზე არ უნდა დავიმხოთ ქვეყანა! ჩვენმა წინაპრებმა მოიტანეს ეს ქვეყანა ჩვენამდე და შთამომავლებს უნდა გადავცეთ. ამ დროს კი მუდმივად დაკავებული ვართ ცეცხლზე ნავთის დასხმით – აი, ამაზე ვსაუბრობდი. ხელისუფლების პასუხისმგებლობას, როგორც პრევენციაზე, ასევე, შემდგომში ზომების მიღებაზე, არ უარვყოფ და არ გამოვრიცხავ, ეს აქსიომაა!

პანდემიით დაზარალებულ საწარმოებს მსოფლიო ბანკი დაეხმარება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით, საქართველო 85 მილიონ ევროს შეღავათიანი პირობებით მიიღებს. ესაა მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარება, რომლებიც პანდემიის გამო დაზარალდნენ. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მსოფლიო ბანკთან შეთანხმებას ხელი 17 მაისს მოეწერა.

85 მილიონი ევრო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის – რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ გადასახადების გადამხდელები

მთავრობის მეთაურის განცხადებით, პროექტი სწრაფი გადახდების ახალი, ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რაც ფულად სახსრებზე საწარმოების ხელმისაწვდომობის ძალიან კარგი და ეფექტიანი საშუალებაა. ირაკლი ღარიბაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ამ პროექტს საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს.

„ასევე, მინდა განვმარტო, რომ ამ ფინანსური მხარდაჭერის შეთანხმებას ფინანსთა სამინისტროს და უშუალოდ, მინისტრის ჩართულობით, მისი წარმატებული მოლაპარაკების შედეგად მივაღწიეთ. მსოფლიო ბანკმა ეს გადაწყვეტილება 11 მაისს მიიღო, მოლაპარაკებაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ქალბატონი ნათია თურნავაც აქტიურად იყო ჩართული. მოგეხსენებათ, ამ პროცესში, ჩვენი დონორებისგან მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება პანდემიით დაზარალებული საწარმოებისთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო მსოფლიო ბანკს, უშუალოდ კი ამ საფინანსო ინსტიტუტის რეგიონულ დირექტორს, პროექტის მხარდაჭერისთვის“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა განმარტა, რომ პროექტის ზედამხედველობას ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სსიპ-ი „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს.

„ჩვენთვის, მცირე და საშუალო ბიზნესსაწარმოების განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. რა თქმა უნდა, დამატებით სხვა მასტიმულირებელ მექანიზმებსაც შევიმუშავებთ, რასაც უახლოეს მომავალში წარმოდგიდგენთ“, – დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

ამის შემდეგ, მთავრობის სხდომაზევე, საგადასახადო დავალიანებებთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ახალი ინიციატივაც განიხილეს. მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა დეტალურად ახსნა, რას ითვალისწინებს ეს ინიციატივა.

„გადასახადის გადამხდელს, რომელსაც დღემდე წარმოშობილი, მიმდინარე საგადასახადო დავალიანება აქვს, იქნება ეს აღიარებული, თუ არაღიარებული საგადასახადო დავალიანება, შესაძლებლობა ექნება, გადასახადის ძირითადი თანხის გადახდის პირობით, სრულად შეიმციროს დარიცხული ჯარიმა/საურავები. ამისთვის გადასახადის გადამხდელმა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით და მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე, ეს პირობები უნდა შეასრულოს. თუ გადასახადის გადამხდელების მიმდინარე საგადასახადო დავალიანება, არსებითად, მხოლოდ ჯარიმა/საურავებისგან შედგება, შესაძლებლობა ექნებათ, ანალოგიური პირობით განახორციელონ საგადასახადო დავალიანებაზე შეთანხმების გაფორმება, ოღონდ დავალიანების 30%-ის გადახდის შემთხვევაში. ეს ინიციატივა ეხება გადასახადის ყველა გადამხდელს“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

მისივე თქმით, მსგავსი ფორმითა და პირობებით წარდგენილი განცხადებები ავტომატურ რეჟიმში დაკმაყოფილდება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პროცესი სწრაფად და მარტივად წარიმართოს. ლაშა ხუციშვილის განმარტებით, ჯარიმა/საურავების პატიების გადაწყვეტილება ერთჯერადი ხასიათისაა, რაც პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევას უკავშირდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე და განაცხადა, რომ ზაფხულის დადგომასთან ერთად, ტურისტების ნაკადიც გაიზრდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, მთავრობამ ადეკვატურად უპასუხოს ტურისტების შემოდინებას ქვეყანაში.

„რაც შეეხება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას, მთავრობის სხდომის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს სხდომას გავმართავთ. რა თქმა უნდა, ყურადღებით ვაკვირდებით სიტუაციას, ჯანდაცვის სამინისტრო და ზოგადად, სისტემა ეფექტურად, ყურადღებით მართავს მდგომარეობას. მოგეხსენებათ, ზაფხულის დადგომასთან ერთად, ტურისტების ნაკადიც იზრდება საქართველოში და მნიშვნელოვანია, ამას ადეკვატურად ვუპასუხოთ. ბევრი ჩივილი გვესმის იმასთან დაკავშირებით, რომ კომენდანტის საათი შემაწუხებელია, ამიტომ ვიმსჯელებთ ამაზე და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ იმის მიხედვით, თუ როგორი რეკომენდაციები იქნება ჯანდაცვის სამინისტროსგან“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა მოლაპარაკებებზე ვაქცინებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „ფაიზერის“ დამატებით ვაქცინებს ზაფხულში, დაახლოებით, ივნისსა და ივლისში შემოიტანენ.

„ვაქცინების თაობაზე, საკმაოდ ეფექტიანი და წარმატებული მოლაპარაკებები გვაქვს უშუალოდ მწარმოებლებთან. ერთია კოვაქსის პლატფორმა, საიდანაც ჩვენ უკვე დავიწყეთ ვაქცინების მიღება, ხოლო მეორე – უშუალოდ, მწარმოებლებისგან მიღებული ვაქცინებია. რამდენიმე დღეში, საშუალება გვექნება, რომ ჯანდაცვის მინისტრთან ერთად, დეტალური ინფორმაციით წარვსდგეთ საზოგადოების წინაშე. უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ, საუბარია „ფაიზერის“ დამატებითი ვაქცინების შემოტანაზე ზაფხულში, დაახლოებით, ივნის-ივლისში. მოლაპარალებას ვაწარმოებთ მილიონ დოზაზე, რაშიც უშუალოდ ვიყავი ჩართული და „ფაიზერის“ პრეზიდენტთან არაერთი სატელეფონო ზარიც მქონდა“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმითვე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები „სინოფარმისა“ და „სინოვაკის“ ქარხნებთან, რათა ქვეყანამ დამატებითი დოზები მიიღოს, თუმცა მოლაპარაკებებს აწარმოებენ „მოდერნასთან“, რათა ქვეყანაში „ნოვოვაქსის“ ახალი ვაქცინა შემოვიდეს.

„გვაქვს მოლაპარაკება ჩინური „სინოფარმისა“ და „სინოვაკის“ ქარხნებთან – დამატებითი დოზების მოწოდებასთან დაკავშირებით, ასევე, „მოდერნასთანაც“, რათა „ნოვოვაქსის“ ახალი ვაქცინა შემოვიტანოთ. ასე, რომ ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილები, რადგან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები და უახლოესი თვეების განმავლობაში, დამატებით დოზებს მივიღებთ. შესაბამისად, ვაქცინაციის პროცესში, შეფერხება არ იქნება“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

მთავრობის სხდომის დასრულებისთანავე, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა და გაირკვა, რომ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ტერიტორიაზე, კომენდანტის საათი ორი საათით გვიან ამოქმედდება. შესაბამისად, გადაადგილებაზე შეზღუდვა იმოქმედებს 23:00-დან 05:00 საათამდე პერიოდში. მთავრობის მეთაურის განმარტებით, გადაადგილების შეზღუდვის შემსუბუქება ეპიდემიოლოგიური ტენდენციების დეტალური ანალიზის საფუძველზე გადაწყდა.

შემსუბუქების პარალელურად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიმართვაც. კერძოდ, საქართველოს მთავრობა მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ რეგულაციის აღსრულების ადმინისტრირება გამკაცრდება – შეზღუდვა ამოქმედდება ზუსტად 23:00 საათზე! ამავდროულად, ძალაში რჩება გადაადგილების ყველა ის უფლება, რომელიც მოქმედებდა 21:00-05:00 საათამდე პერიოდში.

გარდა ამისა, მიმდინარე კვირიდან, კვების ობიექტებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ შაბათ-კვირას, სტუმრები მხოლოდ ღია სივრცეში მიიღონ. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და ვითარების სტაბილიზაციის შემთხვევაში, 1 ივნისიდან, ამ მიმართულებით, შემდგომი შემსუბუქების გადაწყვეტილებებს მიიღებს.

სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კვლავ ძალაში რჩება შეზღუდვა ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით, როგორებიცაა, ქორწილი, ქელეხი, ბანკეტი და სხვადასხვა სახის იუბილე. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, რომ შეასრულონ არსებული რეგულაციები, ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია.

„შესაძლოა, ატომური იარაღიც გამოიყენონ“

„ჩემი შვილი, რომელიც დედით ებრაელია, მზადაა, ისრაელისთვის თავი გასწიროს“ – სკანდალური ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რამდენიმე დღეა, ისრაელში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს. ღაზას სექტორთან იერიშს არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ისრაელის ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს. საგანგებო განცხადებას ავრცელებს ისრაელში საქართველოს საელჩოც. რატომ გამწვავდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი სწორედ ახლა და ხომ არ უკავშირდება ყველაფერი ეს, აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუარესებას? – „ვერსია“ კონფლიქტოლოგ მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

„რუსეთსა და აშშ-ს შორის ვითარების დაძაბვა იმ პროცესის შემადგენელია, რასაც ახალი წესრიგის ჩამოყალიბების მცდელობა ჰქვია.

1990 წლის შემდეგ, როცა მაშინდელი მსოფლიო წესრიგი დაინგრა, უკვე 30 წელია, აშშ და, საერთოდ, დასავლეთი, ახალი წესრიგის დამყარებას ცდილობს, მაგრამ მსოფლიოს ძლიერი რეგიონული მოთამაშეების რიცხვი გაიზარდა. მაგალითად, თურქეთი, დღეს, ანგარიშგასაწევია და პოზიციონირებს, როგორც სახელმწიფო, რომელიც რეგიონულ პოლიტიკას ქმნის.

ასევე, მნიშვნელოვანია არაბული სახელმწიფოების ერთობა. ისრაელი კი ბევრისთვის ხელშემშლელი გარემოებაა, როგორც აშშ-ის უერთგულესი მოკავშირისა.

გარდა ამისა, სხვა მიზეზებიც არსებობს – იერუსალიმის თემა და ბევრი სხვა. პალესტინისა და ისრაელის დაპირისპირება მხოლოდ ამ ორი სუბიექტის დაპირისპირება არაა – ეს რეგიონული გავლენებისთვის ბრძოლაა.

ისრაელს უპირისპირდება არა მხოლოდ ტრადიციული მოწინააღმდეგე ირანი, რომელიც „ჰესბოლასა“ და „ჰამასის“ რაზმებით ებრძვის ღაზას ტერიტორიიდან, არამედ, დაპირისპირებულია არაბული სამყაროს ნაწილიც, რომელსაც თურქეთიც დაემატა. წარმოიდგინეთ, როგორ ალყაშია ისრაელი“, – აცხადებს არეშიძე.

ანალიტიკოსის თქმით, ისრაელს, ქვეყნის დაცვის თვალსაზრისით, კარგი გაგებით აგრესიული ხელისუფლება, არმია ჰყავს და საერთოდ, ებრაელი ერი, სწორედ ასეა მოწყობილი:

„თუ საქმე მათ განადგურებაზე მიდგა, ახლო აღმოსავლეთიდან ქვას ქვაზე არ დატოვებენ და არაა გამორიცხული, ატომური იარაღიც გამოიყენონ, რომელიც აქვთ. ეს, რასაკვირველია, ყველაზე ცუდი სცენარი იქნება, მაგრამ ისინი ყველაფერს გააკეთებენ საკუთარი სახელმწიფოს შესანარჩუნებლად. სახელმწიფო მათი ხატია. პრაქტიკულად, ერის 80% სამხედრო მოსამსახურეა, მათ შორის, ქალებიც. მაგალითად, ჩემი შვილის, გოგონას განწყობა ვიცი – ისრაელში ცხოვრობს, დედით ებრაელია და, ჩემი შეშფოთების მიუხედავად, ისრაელისთვის თავის გაწირვა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

მოკლედ, ისინი არ არიან უკან დამხევები, მაგრამ მოწინააღმდეგეც ასეთივეა, მით უმეტეს, რომ ჰყავს იაფი, პალესტინელი მებრძოლები.

მოვლენათა განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გონს მოვლენ რეგიონული მოთამაშეები“, – ამბობს არეშიძე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროფესიული განათლების ეფექტურობით დაინტერესდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა ხარვეზები გამოვლინდა პროფგანათლების პროგრამებში, სასწავლო პროცესების მართვასა და დაფინანსებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროფესიული განათლების ეფექტურობით დაინტერესდა. ანგარიში, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, 2018-2020 წლებს ეხება. უმუშევრობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რაც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს უკავშირდება. იმისთვის, რომ ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სამუშაო ძალებს შორის შეუსაბამობა უნდა შემცირდეს. ფაქტია, რომ პროფესიული საქმიანობით დაკავებული მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა დამსაქმებელთა მოთხოვნებს ვერ, ან არ აკმაყოფილებს. ცხადია, ამ მიმართულებით, სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა, გაზარდოს პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამ პრობლემით დაინტერესდა. აუდიტის საშუალებით, უწყებამ შეისწავლა პროფესიული განათლების პროგრამებისა და პრიორიტეტების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობა, სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანობა, ასევე, პროფესიული განათლების დაფინანსების ეკონომიურობა და რაციონალურობა.

ხარვეზები პროფგანათლების პროგრამებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ პროფესიული განათლების მქონე პირების დასაქმების პრობლემა გამოწვევად რჩება. აუდიტის ჯგუფმა კურსდამთავრებულები გამოკითხა და გაარკვია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით, გამოკითხულთა მხოლოდ 35% მუშაობს. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული განათლებით არ საქმიანობს, რაც სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, სასწავლო პროგრამების შრომის ბაზართან შესაბამისობის ნაკლოვანებებითაა გამოწვეული.

„პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის მიხედვით (2013-2020 წწ.), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან. სტრატეგიით დაგეგმილი იყო ოთხი ამოცანისა და 18 აქტივობის განხორციელება, თუმცა არ იყო განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების შესრულების ვადები, განმახორციელებელი ორგანო, ბიუჯეტი, მისაღწევი შედეგები და შესრულების ინდიკატორები. შრომის ბაზრის ანალიზის მიმართულებით, სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად წარმოჩენილია რეგულარული ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის დანერგვის აუცილებლობა. საჯარო პროფესიული სასწავლებლები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სასწავლო პრიორიტეტებს. ამ პროცესში მათთვის ხელმისაწვდომია ზოგადი კვლევები, თუმცა როგორც შედეგებიდან ჩანს და სასწავლებლებთან ინტერვიუებითაც დასტურდება, ეს კვლევები საკმარისად დეტალიზებული და რეგიონების გათვალისწინებით წარმოდგენილი არ არის, ხოლო პროფესიულ სასწავლებლებს არ გააჩნიათ კვლევის ჩატარების საკმარისი უნარები და მექანიზმები. ცალკეულ შემთხვევაში, პროფესიული კოლეჯები გარკვეული რაოდენობით სტუდენტებს იღებენ ისეთ სპეციალობებზე, რომლებზე მოთხოვნაც პროფესიული განათლების მქონე პირების დამსაქმებლებს ნაკლებად გააჩნიათ. რაც მთავარია, ამ მიმართულებით, დაუსაქმებელია უმაღლესი განათლების მქონე პირების მნიშვნელოვანი ნაწილი“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ამის საპირისპიროდ, კონკრეტული დარგებიც გვხვდება, რომლებიც საკადრო დეფიციტით გამოირჩევიან, რადგან პროფესიული სასწავლებლების შეთავაზებული პროგრამები ბაზარზე არსებულ მოთხოვნას ვერ ფარავს. გარდა ამისა, სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრისას, ბაზარზე არსებული მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ, რაც თავისთავად, პროგრამის შრომის ბაზართან თავსებადობის პრობლემას ქმნის.

დარღვევები სასწავლო პროცესების მართვაში

პროფესიული განათლების სწავლის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც სასწავლო პროცესებზე, ასევე, სწავლის შედეგებზე. საბოლოოდ, პროფესიული ცოდნით დასაქმების მაღალი მაჩვენებლებიც, სწორედ ამ პროცესებმა უნდა უზრუნველყოს. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ მხრივ.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ არსებობს პროფესიული სტანდარტები, რომლებმაც ყველა სასწავლო დაწესებულებებისთვის ერთიანი ჩარჩოს ფორმირება უზრუნველყო და სასწავლებლების თვითშეფასების მექანიზმიც შეიქმნა. კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა – შეიქმნა დუალური პროგრამა, რაც უკავშირდება კერძო კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად განხორციელებასა და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობას. 2019 წლიდან, ფორმალური განათლების ნაწილი გახდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები, სადაც მაღალია კერძო სექტორისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ამ ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმის დანერგვა-განხორციელების საკითხები. კერძოდ, არ არის შემუშავებული პროფესიული სასწავლებლების გარე შეფასების მეთოდოლოგია და ინდიკატორები (მაგალითად, შეფასება დამსაქმებელთა და მასწავლებელთა მხრიდან), შეფასების პროცესში არ არის ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, თუმცა პერიოდულად, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა ხორციელდება.

„ჩატარებული კვლევის მიხედვით, საწარმოთა 2% ანუ 1 123 საწარმო თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა მათ 10%-ს, უახლოეს მომავალში, თანამშრომლობის სურვილი აქვს. ეს კი მიუთითებს მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე, გაიზარდოს თანამშრომლობა კერძო სექტორთან, რაც პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მეტ შესაძლებლობას უზრუნველყოფს“.

ხარვეზები პროფგანათლების დაფინანსებაში

პროფესიული სასწავლებლების თანაბარი განვითარებისა და სტუდენტებისთვის შესაბამისი ხარისხის სწავლების შესაძლებლობას დაფინანსების ქმედითი მექანიზმები ქმნის. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ამ მიმართულებით, მთელი რიგი ასპექტები შესრულებულია: ვაუჩერული დაფინანსების ფიქსირებული მოდელი შეიცვალა და დაინერგა ახალი სისტემა, რომელიც დაეფუძნა, როგორც სპეციალობებში განსხვავებულ მაჩვენებლებს, ასევე, სტუდენტების რაოდენობას; მოწესრიგდა სტუდენტთა მონაცემთა ბაზები და კერძო კოლეჯებს ვაუჩერული დაფინანსების მიღების შესაძლებლობაც მიეცათ. მიუხედავად ამისა, დაფინანსების ახალი მოდელის მიმართულებით, სახელმწიფო აუდიტორებმა სხვადასხვა ნაკლოვანებები მაინც გამოავლინეს.

„სასწავლებლების პროგრამული დაფინანსების ნაწილში, სამინისტროს არ შეუსრულებია თავდაპირველი აუდიტით გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გასაწევი დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებას. პროგრამული დაფინანსების საფუძველია სასწავლებლის მიმართვა სამინისტროსთვის და წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, თუმცა არ გაანალიზებულა, რამდენ სტუდენტს იღებს ყოველწლიურად დაწესებულება, ასრულებენ თუ არა სწავლას სტუდენტები და სხვა, მეტიც, პროგრამული დაფინანსება არ უკავშირდება სასწავლებლის წარმატებას. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მსგავსი ტიპის სასწავლებლებში, ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება და რაოდენობა განსხვავებულია. არ არის საკმარისად არგუმენტირებული არსებული განსხვავების რაციონალური მიზეზები და დაფინანსების გაცემის მიზანშეწონილობა, რაც, შესაძლოა, არაეკონომიური და არამიზნობრივი ხარჯვის წინაპირობა იყოს. სამინისტროს განმარტებით, შესაბამისი მოდელის შექმნის მიზნით, მიმდინარეობს დაფინანსების სისტემის ცვლილება“.

2018 წელს, განათლების სამინისტროს მიერ, ჯამურად სასწავლო დაწესებულებებზე გაცემული პროგრამული დაფინანსება, ვაუჩერული დაფინანსების 71%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს – 64%-ს, რაც მაღალი მაჩვენებელია. მის შემცირებასთან დაკავშირებით, სამინისტრომ რეკომენდაცია მიიღო დიდი ბრიტანეთის „კარგი მმართველობის ფონდის“ (GGF) მხარდაჭერით, მიმდინარე პროექტის ფარგლებშიც.

დარღვევები გამოვლინდა ვაუჩერული დაფინანსების ნაწილშიც. კერძოდ, ვაუჩერული დაფინანსების მოდელს სჭირდება მოდიფიცირება, როგორც განფასების, ასევე, სამინისტროს მიერ სასწავლებლებში დაფინანსებიდან დარჩენილი ეკონომიების მიზნობრიობის კონტროლის ნაწილშიც.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებას, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის განვითარების მკაფიო გეგმა და პრიორიტეტების განსაზღვრის წესი არ შეუმუშავებიათ.

„შედეგად, სხვადასხვა დაწესებულებაზე გაცემულია დაფინანსება, თუმცა ამ მიმართულებით, პრიორიტეტულობა და პროფესიული სასწავლებლების თანაბარი ფინანსური უზრუნველყოფა ვერ დგინდება. ამ ეტაპზე, არ არის ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც გაირკვეოდა დეტალური საჭიროებები სხვადასხვა რეგიონის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სამინისტრო, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს“.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა უთანხმოება მოხდა ლევან ვასაძესა და „რიონის მცველებს“ შორის

16 მაისს, პრორუსული და ჰომოფობიური განწყობებით ცნობილმა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ, პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ განაცხადა, 9 აპრილის ბაღში, მხარდამჭერებთან შეხვედრა გამართა. ვასაძე მალე პარტიასაც დააარსებს, რომელსაც „ერი“ ერქმევა. გაპოლიტიკოსებული „რაინდის“ განმარტებით, „ერი“ სიტყვების – ერთობა, რაობა, იმედი აბრევიატურაა.

„ვერსიას“ წყარო უამბობს, რომ ლევან ვასაძემ განგებ არ დაამთხვია საკუთარი აქცია 17 მაისს, საპატრიარქოს მიერ დაარსებულ ოჯახის სიწმინდის დაცვის დღისადმი მიძღვნილ აქციას. წყაროს თქმითვე, ვასაძე აპირებდა, რომ საკუთარ აქციაზე, ნამახვანჰესის საკითხი გაეპროტესტებინა, თუმცა „რიონის მცველები“ დაუპირისპირდნენ და უთხრეს, რომ ამ საკითხის გასაპროტესტებლად, 23 მაისს, აქციას თავადვე გამართავენ.

ჩვენი ინფორმაციითვე, ვასაძის გუნდს მკვეთრად დაუპირისპირდა გურამ ფალავანდიშვილიც, რომელიც ყოველთვის მის გვერდით მოიაზრებოდა.

მოკლედ, როგორც ჩანს, „რაინდის“ პოლიტიკაში შემოსვლამ, ე.წ. კონსერვატორთა ფლანგზე მონასტერი არია და ახლა ადამიანები იმას არკვევენ, რომელ დღეს, რომლის აქციაზე უნდა წავიდნენ...

„ვერსია“ ლევან ვასაძის გუნდის წევრ სოსო მანჯავიძეს დაუკავშირდა:

„ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური ხაზის დეზორიენტაცია, რომელშიც ვიმყოფებით, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აგდებს ქვეყანას და კიდევ უფრო დიდია საფრთხეები, რომელიც ამას ახლავს. განუწყვეტელი გაურკვევლობა, პოლიტიკური ვაკხანალია, მტრობა, დაპირისპირება და სრულიად გაურკვეველი საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს კატასტროფული შედეგების გარეშე. ჩვენ, ვინც ვართ ამით შეწუხებულნი, უნდა გავერთიანდეთ, უნდა მოვახერხოთ, რომ მოსახლეობის განწყობის შესაბამისი ძალები ჩამოყალიბდნენ საზოგადოებაში. ესაა, პირადად ჩემი მიზანი ისევე, როგორც ჩემი მეგობრების.

პარტია და საზოგადოებრივი მოძრაობა ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ გვინდა, როდესაც შესაბამისი პროგრამა იქნება და სტრუქტურები ჩამოყალიბდება, ამის შესახებ საზოგადოება გაიგებს“.

„ვერსია“ საზოგადოება „ზნეობის“ თავმჯდომარე გურამ ფალავანდიშვილსაც ესაუბრა

„დაკავებული ვარ ნამახვანის დღის წესრიგით. ბატონ ლევანს პატივს ვცემ და მხარს ვუჭერ, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩართული ვარ ნამახვანჰესის აქციის დღის წესრიგში“.

საამრთავი
№16 19 მაისი 2021 წ

„ტატუს“ სოლისტმა ყოფილი ქმარი „გია გალსკი“ პოლიციაში „ჩაუშვა“

ბათო ჯაფარიძე

მარია მაკსაკოვა ცნობილი საოპერო მომღერალი და ტელეწამყვანია, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა. მის „ანგარიშზე“ ყველაზე დიდი სკანდალი კი ისაა, რომ გასულ წელს, ყოფილ ქმარს შინაგან საქმეთა მინისტრთან უჩივლა. საქმე ის გახლავთ, რომ მაკსაკოვას ყოფილი ქმარი ვლადიმირ ტიურინი (მეტსახელად, „ტიურიკ“) ე.წ. კანონიერი ქურდი და კრიმინალურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება გახლდათ. ჰოდა, მასთან დაშორების შემდეგ, მომღერალმა მინისტრს მისწერა, რომ ქმარი აშანტაჟებს და სახლის წართმევით ემუქრება. ქალმა, ასევე, დაადასტურა, რომ „ტიურიკი“ კრიმინალურ სამყაროში უმაღლეს საფეხურზე იდგა და ნამდვილად „კანონიერი ქურდი“ იყო. ამის საფუძველზე (და არა მარტო), ტიურინი დააკავეს და ათწლიანი სასჯელიც მისცეს, სახლი კი მარიას დარჩა.

ეს ისტორია გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმას, რომელიც ახლა მოხდა: ჯგუფ „ტატუს“ სოლისტი იულია ვოლკოვა, წლების განმავლობაში, „კანონიერ ქურდ“ გიორგი ზარანდიას (მეტსახელად, „გია გალსკი“) ხვდებოდა. უფრო მეტიც, მათ ხელიც მოაწერეს, მაგრამ მოგვიანებით ქალმა აღიარა, რომ გიასგან იმდენჯერ მოხვდა ყბაში, მეტის ატანა ვეღარ შეძლო, რის გამოც დაშორება გადაწყვიტა. მთავარი საჯილდაო კი თურქეთში, ანტალიაში მდებარე ფეშენებელური ვილა გახდა. ზარანდია სახლის დაცლას არ აპირებდა და ვოლკოვამ საქმეში ჩეჩენი კრიმინალები ჩარია, რომლებიც „კანონიერ ქურდს“ მოკვლით დაემუქრნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე, გაჩერდნენ.

მაშინ, როცა „გალსკი“ გამარჯვებას ზეიმობდა, ვოლკოვა ანტალიის პოლიციაში მივიდა და განაცხადა, რომ „კანონიერი ქურდი“, რომელსაც მოსკოველი სამართალდამცავები ეძებდნენ, მის სახლში იმალებოდა. სპეცოპერაციის შედეგად, ზარანდია დააკავეს, მოსკოვიდან კი დასტური მოვიდა, რომ „გია გალსკი“, სწორედ „კანონიერი ქურდის“ სტატუსის გამო იძებნებოდა.

თვის ბოლომდე, მისი ექსტრადიცია რუსეთში განხორციელდება, ანტალიის სახლში კი... იულია ვოლკოვა ცხოვრობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 240 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 240 ფაქტი გამოვლინდა. პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 79 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 975 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 186 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ–ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

თბილისში ცნობილი „ავტორიტეტი“ მოკლეს

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის ქალი, რომელმაც მკვლელობა დაგეგმა

დღევანდელ სამყაროში, თითქოს, ყველაფერი ადვილია – თვალთვალი, მიყურადება, მოსმენა... თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ამის გაკეთება, შესაბამისი ორგანოების გარდა, რიგით ადამიანებსაც შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, სპეციალური მუხლიც არის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც აღნიშნული ქმედებისთვის სასჯელს ითვალისწინებს. ადრე, ყველაფერი ეს მარტივი არ იყო. თვალთვალი ვიდეოკამერების, ან დრონის საშუალებით კი არა, ცოცხალი ძალით ხდებოდა. სათვალთვალო მოწყობილების ჩუმად დაყენება წარმოუდგენელი გახლდათ, მოსასმენ აპარატურას კი მაშინაც იოლად ამონტაჟებდნენ.

„ერთ-ერთი ცნობილი გამომძალველის ოპერატიული დამუშავება მიმდინარეობდა და 24-საათიან რეჟიმში უთვალთვალებდნენ. ის ადრე ყაჩაღობისა და ქურდობისთვის იყო დაპატიმრებული, გათავისუფლების შემდეგ კი გამოძალვა აირჩია. საკუთარი წარსულით ფულიან ხალხს აშინებდა და თანხას სძალავდა. დიდ კუშს არ ითხოვდა – ათასი, ორი ათასი, რათა დაზარალებული მილიციაში არ წასულიყო. ბოლოს, ერთ-ერთი საწარმოს დირექტორს მიადგა, ათი ათასი მოსთხოვა, მან კი ჩვენ მოგვმართა. ჰოდა, დანიშნული ფული გავატანეთ და მშვიდად ველოდით, როდის გამოვიდოდა ბინიდან ან როდის დაუტოვებდა თანხას, რომ ფაქტზე აგვეყვანა. ჩვენმა კაცმა ბინა დატოვა, ათი წუთი ვადროვეთ თანხა რომ შეენახა და სეიფის ადგილსამყოფელიც გაგვეგო და შევედით“, – თბილისში საკმაოდ ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის მკვლელობის დეტალებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი გვიყვება.

ბინაში შესულ სამართალდამცავებს საოცარი სურათი დახვდათ – კრიმინალურ ავტორიტეტს ზურგში, გულის მხარეს დანა ჰქონდა დარტყმული და უსულოდ ეგდო, ფული კი არსად ჩანდა. ოპერმუშაკებმა ერთმანეთს გადახედეს, ყველა მათგანს შეეძლო, სიცრუის დეტექტორზე გაემეორებინა, რომ სახლიდან არავინ გასულა, გარდა იმ პირისა, რომელმაც დანიშნული კუპიურები მიიტანა. ის კაცი კი დაბლა, მანქანაში მშვიდად ელოდა ოპერაციის დასრულებას და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდებოდა, როცა ხელები გადაუგრიხეს და მკვლელობაში დასდეს ბრალი.

პარალელურად, კორპუსი ალყაში მოაქციეს, რადგან თუ მკვლელი ეს კაცი არ იყო, მაშინ, ნამდვილი მკვლელი კორპუსში უნდა ყოფილიყო.

„ექსპერტმა იმ კაცის მონაწილეობა მკვლელობაში, ვინც ფული მიიტანა, კატეგორიულად გამორიცხა. დანა ზემოდან ქვემოთ იყო დარტყმული ანუ კრიმინალური ავტორიტეტი, მინიმუმ, მისი სიმაღლის ადამიანმა მოკლა, ეს კი დაბალი იყო. რაც მთავარია, ექსპერტმა თქვა, რომ დანა სპეციალურად იყო შერჩეული, სავარაუდოდ, მიტანილი – ძალიან წვრილი პირით, ადვილად რომ ჩარჭობოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელი ფიზიკურად ძლიერი არ უნდა ყოფილიყო. ამ კაცს კი შესვლისას დანა არ ჰქონდა. რჩებოდა ერთადერთი ვარიანტი – ფულიცა და მკვლელიც კორპუსში უნდა გვეძებნა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამოძიებისთვის სამწუხაროდ, კორპუსში ისეთი ვერავინ ნახეს, ვისაც მკვლელობის ჩადენა შეეძლო. თავად განსაჯეთ – იმ დროს, შინ, ძირითადად, პენსიონერები იყვნენ, ასევე, ერთი ახალგაზრდა ქალი – ავადმყოფი ბავშვით და მორჩა.

სამართალდამცავთათვის ეს უდიდესი დარტყმა იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათ თვალწინ მოკლეს კაცი, მკვლელი კი... გაქრა. იყო ვერსია, რომ მკვლელი, შესაძლოა, მეორე ან მესამე სართულიდან გადახტა, მაგრამ ესეც გამორიცხეს – მილიციამ თავი დაიზღვია და კორპუსის უკანა მხარესაც რამდენიმე თანამშრომელი მორიგეობდა. ისინი აუცილებლად შეამჩნევდნენ, ვინმეს გადმოხტომა რომ მოეხერხებინა.

გამოძიება ჩიხში შევიდა, შს სამინისტროს მაღალჩინოსნები, პრაქტიკულად, ყოველდღიურად რეკავდნენ და საქმის გამოძიებას ითხოვდნენ, გამოძებას კი ეჭვმიტანილი, უბრალოდ, არ ჰყავდა. საქმის მასალების გარშემო ახალი არაფერი იყო. რაღა თქმა უნდა, ყველა ბანკი და ყველა მაღაზია გააფრთხილეს, რომ იმ კუპიურების გამოჩენის შემთხვევაში, რომლებიც დანიშნული იყო, მილიციაში დაერეკათ, თუმცა არც კუპიურები ჩანდა და არც – მკვლელი.

საქართველოს მასშტაბით, ყველა მაღაზიის კონტროლი უმძიმესი საქმე გახლდათ და ვერც ახერხებდნენ, მაგრამ ფული, საბოლოო ჯამში, ბანკში მიდიოდა, იქ კი ყურადღებით იყვნენ. თვეზე მეტი გავიდა და ლამის, თაროზე შემოდეს საქმე, როცა ბანკიდან შეტყობინება მოვიდა – დანიშნული კუპიურებიდან ერთ-ერთი ბანკში მოხვდა. ახლა იმის გარკვევა იყო საჭირო, კონკრეტულად რომელი მაღაზიიდან შევიდა ფული ბანკში, რასაც რამდენიმე საათი დასჭირდა. მაღაზია სასურსათო იყო, თუმცა გამყიდველს არ ახსოვდა, ვინ მიუტანა 25-მანეთიანი. სამაგიეროდ, იმავე მაღაზიაში გამყიდველი დაამატეს, რომელსაც ყველა კუპიურა უნდა გადაემოწმებინა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. ორი კვირა გავიდა და გამოძიებისთვის საინტერესო კუპიურა აღარავის მიუტანია. სამაგიეროდ, სხვა მაღაზიაში მიიტანეს 25-მანეთიანი, რომელიც, ასევე, ბანკში მიტანის შემდეგ აღმოაჩინეს. გამყიდველს არც ამჯერად ახსოვდა, ვინ მისცა კუპიურა და საინტერესო ის გახლდათ, რომ ერთი მაღაზია მეორესგან, დაახლოებით, 10 კილომეტრით იყო დაშორებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელი ფულს ასე შორი-შორს ან შემთხვევით ხარჯავდა, ან ფრთხილობდა. მესამე კუპიურა უკვე სხვა ქალაქში გამოჩნდა, მერე – კიდევ სხვა ქალაქში და სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ მკვლელი, უბრალოდ, კვალს ურევდა. ყველაზე ცუდი კი ის გახლდათ, რომ გამყიდველებმა ერთხელაც ვერ დაიმახსოვრეს კუპიურის მფლობელი.

„ეს მკვლელის გამოცდილებასა და ჭკუაზე მეტყველებდა – მიდიოდა იმ მაღაზიებში, სადაც ახალი საქონელი მიჰქონდათ ანუ დიდი იყო შანსი, რომ 25-მანეთიანი არა ერთ და ორ ადამიანს მიეტანა. გათვლა აბსოლუტურად სწორი იყო, ჩვენ ვერაფერს ვახერხებდით, თუმცა ათი ათასი მანეთი არ იყო ის თანხა, სულ 25-მანეთიანებით რომ დაეხარჯა და სადმე შეცდომას აუცილებლად დაუშვებდა. ჩვენც ამის იმედად ვიყავით“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მორიგი შემთხვევის შემდეგ, გამომძიებელი იმ მაღაზიის გამყიდველთან, საიდანაც ბანკში დანიშნული 25-მანეთიანი შევიდა, უახლისოდ გაემგზავრა. დარწმუნებული იყო, ახალს ვერაფერს გაიგებდა, მაგრამ მოულოდნელად, გამყიდველი იმაზე დაკვირვებული აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა. მან გაიხსენა, რომ იმ დღეს, 25-მანეთიანი ოთხმა ადამიანმა მიიტანა, აქედან სამი მამაკაცი იყო, ერთი კი ქალი. სამ მამაკაცს გამყიდველი იცნობდა, რადგან იმავე უბნელები იყვნენ, ქალს კი პირველად ხედავდა. გამყიდველმა ისიც თქვა, ბავშვიც ახლდაო. რაღა თქმა უნდა, გამომძიებელს მაშინვე ექსპერტის ნათქვამი გაახსენდა – მკვლელმა აქცენტი დანის წვერზე გააკეთა ანუ ძლიერი არ იყო ფიზიკურად და შესაძლებელია, ქალსაც კი მოეკლაო, თუმცა იყო მეორე ვერსიაც – გამოცდილი დამნაშავე მამაკაცი ცოლს, ან მეგობარ ქალს აიძულებდა, 25-მანეთიანებით ევლო და თავად არაფერს რისკავდა.

ასე იყო თუ ისე, ყოველი შემთხვევისთვის, სამართალდამცავებმა ის სამი კაციც გადაამოწმეს, საეჭვო ვერაფერი ნახეს და ბავშვიანი ქალის ძებნა დაიწყეს. უკვე გამყიდველებიც გააფრთხილეს, რომ საჭირო აღარ იყო კუპიურების ნომრებზე აქცენტის გაკეთება – თუ ბავშვიანი ქალი 25-მანეთიანს დახარჯავდა, უნდა გადაემოწმებინათ. სამ დღეში, დაახლოებით, ასამდე საეჭვო შემთხვევა გადაამოწმეს, მაგრამ კუპიურების ნომრები ერთხელაც არ დაემთხვა.

„შინაგანად ვგრძნობდი, რომ დამნაშავესთან ძალიან ახლოს ვიყავით. ის აუცილებლად შეცდებოდა, აუცილებლად გააკეთებდა მსხვილ შენაძენს, მაგრამ გამყიდველის დახმარებით, ყველაფერი ადვილად გაირკვა. დაახლოებით, ხუთი დღის შემდეგ განყოფილებაში დარეკა და მშვიდად თქვა, ეგებ, რამეში გამოგადგეთო. შემდეგ გვითხრა, ქალს, რომელსაც ბავშვი ახლდა და საეჭვო 25-მანეთიანი დაახურდავა, ბავშვთან ურთიერთობისას მცირე პრობლემა ჰქონდა, რადგან პატარას საუბარი უჭირდა და სიტყვებს ვერ გამოთქვამდაო. მაშინვე გამახსენდა გოგონა, რომელიც მოკლულის კორპუსში ცხოვრობდა და რომელზეც ეჭვი არ მივიტანეთ. ერთ საათში, მისი სურათი გამყიდველს ვაჩვენეთ და მან დაბეჯითებით დაადასტურა: „ეს არის!“ – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცველებმა ქალის წარსული შეისწავლეს და გაოცებულები დარჩნენ – სხვადასხვა დროს, ქურდობისთვის სამჯერ იყო ნასამართლევი და ცხადია, მაშინვე დააკავეს. თავის დაძვრენა არც უცდია, ჯერ გულიანად იტირა, მერე კი დაიწყო.

„ჭკუა მესამე ნასამართლეობის შემდეგ ვისწავლე. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თანასაკნელებთან ჩხუბი მომივიდა, რაც იმით დასრულდა, რომ ერთი თირკმელი და საშვილოსნო ამომაჭრეს. გადავწყვიტე, ბავშვი მეშვილა და როგორ მოვახერხე ეს სამჯერ ნასამართლევმა, არ მკითხოთ, ყველაფრის ყიდვა შეიძლება, თანაც აქცენტი ავადმყოფ ბავშვზე გავაკეთე, მინდოდა, მასზე მეზრუნა, მეცოცხლა და ის ეგრძნო, რასაც ბავშვთა სახლში ვერასდროს იგრძნობდა. ამ დროს კი ის გამომეცხადა, ყველასთვის კარგად ნაცნობი კრიმინალი და მითხრა, თუ ჩემთვის არ იმუშავებ, მაქსიმუმს გავაკეთებ, ბავშვი რომ წაგართვანო. სამი ბინის ქურდობაზე გავყევი, თუმცა მივხვდი, აღარ შემეშვებოდა, იმ ფულის ამბავიც ვიცოდი და წინასწარ მოვემზადე. მასთან ჩავედი და მეორე ოთახში გავედი, როცა თქვენი კაცი მოვიდა, წუთიც არ დამჭირვებია მის მოსაკლავად და ფულიც წავიღე. ვიცოდი, დანიშნული იქნებოდა, ამიტომ მაქსიმალურად ვფრთხილობდი, მაგრამ საბოლოოდ, არაფერი გამომივიდა“.

სასამართლომ ქალს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა დედობის უფლების ჩამორთმევით. ბავშვი კი კვლავ ბავშვთა სახლში დააბრუნეს.

„ჩაქუჩით მოვკალი“ – მკვლელის სკანდალური აღიარება

მიწაში დამალული ნაქურდალი ფული – გრიფით „საიდუმლო“ საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროს, თითქმის შეუძლებელი იყო, ვინმეს დიდი თანხა შინ ჰქონოდა შენახული. ოფიციალურად ნაშოვნ ფულს მოქალაქეები ბანკში ინახავდნენ, არაოფიციალურს კი მიწაში ფლავდნენ, ან აგარაკსა თუ სოფელში მალავდნენ. აქედან გამომდინარე, ქალაქში გაქურდული ბინებიდან, ძირითადად, ძვირფასეულობა მიჰქონდათ, „ქეში“ კი – ძალიან მცირე ოდენობით და ამიტომაც „ქეშზე“ მონადირეები ისეთ მაღაზიებს „აკითხავდნენ“, სადაც კონკრეტულ დღეს ბევრი საქონელი იყიდებოდა და მის წაღებას ბანკში ვერ ასწრებდნენ. როგორც წესი, ასეთ დროს დაცვაც ძლიერდებოდა, მაგრამ არა – ყოველთვის.

თბილისში ხმა გავარდა, გარეუბნის ერთ-ერთ მაღაზიაში, იუგოსლავურ პალტოებსა და ჩექმებს გაყიდიანო და მაღაზიას ზღვა ხალხი მიაწყდა. დახლს ქვემოდან თუ ზემოდან, ლამის, ყველაფერი ორ საათში გაიყიდა, თუმცა ყველამ იცოდა, მაღალჩინოსნების ოჯახის წევრებისთვის ცალკე იყო ყველაფერი გადადებულ-გამზადებული. საბოლოო ჯამში, ორდღიანი ვაჭრობა წარმატებით დასრულდა, თუმცა ბანკში ფულის წაღება ვერ მოხერხდა. საკასაციო მანქანას ჯერ ერთი საბურავი დაეშვა, მერე – მეორე, ამასობაში დაღამდა და ყველაფერი დილისთვის გადადეს. დილით კი მაღაზიის დარაჯი ადგილზე ვერ ნახეს, მილიციის ორი თანამშრომლიდან ერთი გამქრალიყო, მეორე – სეიფთან ეგდო მკვდარი. მკვდარი რა, მოკლული – გატეხილი თავიდან იმდენი სისხლი იყო გადმოსული, იატაკზე სისხლის გუბე იდგა.

„საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ორი მიზეზით დაადეს. პირველი ის, რომ იმ დღეს, სწორედ იმ ოთახში, სადაც ყველაფერი მოხდა, ჩინოვნიკების ცოლები თუ საყვარლები პალტოებსა და ჩექმებს ირგებდნენ და მეორეც, წაღებული იყო დიდი ოდენობით თანხა – 48 ათასი მანეთი, რაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ჩვენდა გასაოცრად, სეიფში კიდევ იყო არაერთი კუპიურა და არაერთი ათასი, მაგრამ ყაჩაღებმა მას ხელი არ ახლეს. რატომ? რისთვის? ხომ წარმოუდგენელი გახლდათ, რომ კუპიურების ნომრები ვინმეს ამოწერილი ჰქონოდა? ეს დამნაშავეებსაც კარგად უნდა სცოდნოდათ. მაშ, რატომ არ ახლეს ფულს ხელი?“ – გვიყვება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

1976 წელი იდგა. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისის გარეუბნები პირობითი ცნება გახლდათ, მაშინ შენდებოდა, ლამაზდებოდა და ხალხს იქ გადასვლის სურვილი რომ გასჩენოდა, იქაურ მაღაზიებს არცთუ იშვიათად ანებივრებდნენ უცხოური საქონლით. როგორც ძიებამ დაადგინა, დარაჯი დათვრა და მილიციის თანამშრომლებმა შინ გაუშვეს, მეორე მილიციელი კი... იქვე, მახლობელ კორპუსში, მეგობარ ქალთან გადავიდა 10 წუთით და მთელი ღამე შერჩა. საინტერესო ის გახლდათ, რომ თავდამსხმელებს სამართალდამცავმა კარი თავად გაუღო, კარი გატეხილი არ გახლდათ, სეიფის კარი კი კარგად გაკეთებული გასაღების ასლით იყო გახსნილი. სეიფის გასაღებთან წვდომა ჰქონდა ბუღალტერს, დირექტორს, დარაჯებს, რომლებიც ორ ცვლაში მუშაობდნენ. ბედის ირონიით, არცთუ იშვიათად, ნავაჭრს დარაჯები აძლევდნენ საკასაციო მანქანებსა და... სამართალდამცავებს, რომლებიც მორიგეობდნენ.

„გავარკვიეთ, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა კონკრეტულად მილიციის ეს თანამშრომლები მორიგეობდნენ ანუ ისინი კარგად იცნობდნენ პერსონალსაც, დარაჯებსაც და საერთოდ, ყველას. უფრო მეტიც, ისინი იცნობდნენ ახლო მდებარე კორპუსებში მცხოვრებთა დიდ ნაწილს და როგორც მერე თქვეს, მორიგეობის დროს, პირდაპირ მაღაზიის შენობაში ანუ იქ, სადაც სეიფი იდგა, მათთან ერთად, ქეიფობდნენ კიდეც. ეს ყველა წესის დარღვევა იყო, მაგრამ რაღა დროს – გვყავდა მიცვალებული, რომელსაც თავი, სავარაუდოდ, ჩაქუჩით გაუტეხეს – ჩაქუჩი თავში ექვსჯერ ჩაარტყეს. როგორც ექსპერტმა თქვა, დამნაშავე გარდაცვლილს კარგად იცნობდა და სწორედ ამიტომ ჩაარტყა თავში ექვსჯერ, რათა მას გადარჩენის შანსი არ ჰქონოდა და არაფერი ეთქვა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაიკითხა ყველა, ვისი დაკითხვაც კი შეიძლებოდა, მაგრამ გამოძიებამ საგულისხმო ვერაფერი იპოვა. მეორე დარაჯი, რომელსაც იმ ღამით მორიგეობა არ უწევდა, დილით უნდა მისულიყო სამსახურში, მაგრამ არ მივიდა. ეს ეჭვის საფუძველი გახდა და ამიტომ შინ მიაკითხეს. ის არც სახლში დახვდათ და ცოლმა თქვა, დედ-მამასთანაა მცხეთაში წასულიო. წავიდნენ მცხეთაში და დარაჯი ძლივს გააღვიძეს. როგორც მან განაცხადა, სამსახურში იმ მიზეზით არ გამოცხადდა, რომ დარაჯად აღარ მუშაობდა, წინა დღეს, დირექტორს განცხადება დაუდო მაგიდაზე, ახალი სამსახური კი მხოლოდ ორი დღის შემდეგ ეწყებოდა – მშენებლობაზე მტვირთავად მოეწყო, სადაც 80 მანეთით მეტი ხელფასი ექნებოდა. 80 მანეთი მაშინ დიდი ფული იყო.

რაც შეეხება ალიბს, დედ-მამამ დაადასტურა, რომ იმ ღამეს, მათმა შვილმა ბევრი დალია, გარეთ დაეძინა და მშობლებმა სახლში ძლივს შეიყვანეს.

„იმის გამო, რომ ვერსია არ გვქონდა, არც ფულის ნომრები ვიცოდით და ვერც იმას მივხვდით, რატომ დატოვა დამნაშავემ თანხის არცთუ მცირე ნაწილი ადგილზე, ძიება ნელ-ნელა შეწყდა. მკვლელობაც გაუხსნელი დარჩა და საქმე არქივში გადავიდა. ეს იყო ჩვენი, ყველას მარცხი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ გვქონდა. პირველი ორი წლის განმავლობაში, სავარაუდო ეჭვმიტანილებს – დარაჯებს, დირექტორს, ბუღალტერს, მოკლედ, ყველას პერიოდულად, ჩუმად ვამოწმებდით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე დიდი შენაძენი, ხომ არ ფლანგავდნენ ფულს... ნიშანწყალი იმისა, რომ დაკარგული თანხა რომელიმეს ჰქონდა, არ იყო, ამიტომ ძიებას შევეშვით“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

1983 წელს, ერთ ჩვეულებრივ დღეს, ბანკიდან მილიციის განყოფილებაში დარეკეს. ვიღაც ქალმა ბანკში გადასაცვლელად ხუთასი მანეთი მოიტანა. ფული ობიანი იყო და მაღაზიები არ იღებდნენ, ბანკი კი ვალდებული იყო, ფული შეეცვალა. რაღა თქმა უნდა, ობმა ეჭვი გამოიწვია, ქალი შეაყოვნეს, თან სამართალდამცავებსაც შეატყობინეს. სამართალდამცავები მაშინვე არ ეცნენ ქალს, მისი ვინაობა გაარკვიეს და... ის იმ დარაჯის ცოლი აღმოჩნდა, რომელიც სამსახურიდან ყაჩაღობის წინა დღეს გათავისუფლდა. სამინისტროდან გამომძიებლები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, თუმცა საპასუხო მათაც ჰქონდათ – სამი წლის განმავლობაში, ისინი პერიოდულად უთვალთვალებდნენ ყველას, მათ შორის, დარაჯსა და მის ოჯახს. არც ერთს მატერიალური კეთილდღეობა არ ეტყობოდა. ყოფილი დარაჯი მშენებლობაზე მუშაობით წელში წყდებოდა, არც მანქანა უყიდია, არც – ბინა, მშობლების სახლიც სოფელში ისეთივე უბადრუკი იყო, როგორც მანამდე. ამჯერად, თვალთვალი გააძლიერეს და აღმოაჩინეს, რომ კვირაში ერთხელ მაინც, კაცი სასტუმროში რჩებოდა, ვიღაც ახალგაზრდა ქალი აჰყავდა, შამპანურსა და შოკოლადს ყიდულობდა, მოკლედ, მშვენივრად ერთობოდა. დროსტარების შემდეგ, ისეთივე რიგითი მუშა ხდებოდა, როგორიც მანამდე იყო. სამართალდამცავებმა სასტუმროს პერსონალი დაკითხეს და გაარკვიეს, რომ ორი წელია, კვირაში ერთხელ, კაცი მათთან ჩერდება – მუდმივად ქალის გარემოცვაში, თუმცა ქალები ხშირად იცვლებოდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო, რაც ავტომატურად იმას ნიშნავდა, რომ შს სამინისტროსთან ერთად, საქმეში უშიშროებაც იყო ჩართული, დარაჯი აიყვანეს და დასაკითხად, სწორედ უშიშროების კომიტეტმა წაიყვანა.

„მაღაზიის გაძარცვა ყოველთვის მსურდა. იმ დღეს შემთხვევით მოვხვდი იქ, შევედი, ნაცნობმა მილიციელმა კარი გამიღო და წამოსცდა კიდეც, მგონი, ასი ათასს ვყარაულობო. ვუთხარი, პურ-მარილს მოვიტან-მეთქი და მცხეთაში, ჩემებთან ტაქსით წავედი. იქ დალევის სცენა გავითამაშე და როცა ლოგინამდე მიმათრიეს, ოთახის კარი შიგნიდან ჩავკეტე, ფანჯრიდან გადმოვიპარე და ისევ ტაქსით დავბრუნდი. მილიციის თანამშრომელი ჩაქუჩით მოვკალი, წვრილი კუპიურები წავიღე, სახარჯად უფრო ადვილია, ვიცოდი, ბევრი იყო და სულ იმიტომ არ წავიღე, თქვენ რომ მეტი საფიქრალი გქონოდათ. ისიც ვიცოდი, მინიმუმ, ორი-სამი წელი თვალთვალს რომ დაიწყებდით, ამიტომ ფული ქილებში ჩავდე და მცხეთაში ჩავმარხე. ხუთი წელი, შიშით ხელს ვერ ვკიდებდი, შემდეგ კი ერთი ქილა ამოვიღე, მერე – მეორე და ნელ-ნელა დავიწყე ხარჯვა. რამდენიმე ქილა, სავარაუდოდ, სიჩქარეში კარგად ვერ დავხუფე და ფული დაობდა. დაობებული ფული შინ, უჯრაში მეყარა, რას ვიფიქრებდი, ცოლი თუ მიაგნებდა და ბანკში წაიღებდა“, – ეს არის დაკავებულის აღიარებითი ჩვენების ფრაგმენტი.

სასამართლო დახურულ კარს მიღმა გაიმართა და დარაჯს მილიციის თანამშრომლის მკვლელობისათვის დახვრეტა ძალიან მარტივად მიუსაჯეს. მცხეთაში კი მისი მშობლების კარ-მიდამო გადაბარეს და დანარჩენს ფულსაც იოლად მიაგნეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ა., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს". სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, გელა კვაშილავასა და ტელეკომპანია „პირველს" შორის მიმდინარე დავაზე, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაურმა, გელა კვაშილავამ, ტელეკომპანია „პირველის" მიერ, მის შესახებ გავრცელებული ცრუ და დაუსაბუთებელი ინფორმაციის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი მიმდინარე წლის თებერვალში შეიტანა.

დღეს, 13 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის მოსამზადებელი სხდომა გაიმართა. სხდომის ფარგლებში, გელა კვაშილავას მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეები დაიკითხნენ, რომლებმაც დაადასტურეს 2021 წლის 20 იანვარს, გელა კვაშილავას ყოფნა კონკრეტულ ადგილსა და დროს. გელა კვაშილავას წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე, აღნიშნულ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს არა მარტო იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ გელა კვაშილავას შემხებლობა არ ჰქონდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან, არამედ, ისიც დასტურდება, რომ ტელეკომპანია „პირველმა" საზოგადოება შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში – მედიასაშუალებამ კარგად იცოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არასწორი იყო. მიმდინარე წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია „პირველმა", სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის ათეულის მეთაური, გელა კვაშილავა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადატანაში დაადანაშაულა, ასევე, ამავე ტელეკომპანიამ გამოაქვეყნა მისი სურათი, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ავტორს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა განუმარტა, რომ არასწორ ინფორმაციას ფლობდა.

შს მინისტრმა აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს უფროსი მრჩეველი მადლობის სიგელითა და მედლით დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროსი მრჩეველი პოლიციის საკითხებში, მაიკლ ტერნერი სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, მადლობის სიგელითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისთვის" – დააჯილდოვა.

დაჯილდოების ცერემონიას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, კელი დეგნანი, აშშ-ის საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს დირექტორი, რებეკა ჰანტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

მაიკლ ტერნერს, რომელიც საქართველოში 2009 წლიდან არის მოვლენილი, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საპატრულო პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და კინოლოგიური სამსახურის შესაძლებლობების განვითარებაში, ასევე, კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

მაიკლ ტერნერმა ვახტანგ გომელაურს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურო (INL) მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და პროექტებს ახორციელებს ოჯახში ძალადობისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, ტრეფიკინგისა და სხვა მიმართულებებით.

ნარკოტიკების და ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაციისთვის სასჯელი მკაცრდება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც მთავრობას წარედგინა. კანონპროექტის მიხედვით, მკაცრდება ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების გასაღებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელები.

ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დღეს მოქმედი სანქცია სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შემაკავებელი ფუნქციის შესრულებას. ნარკოტიკული საშუალების გასაღებით მიღებული მნიშვნელოვანი ფულადი სარგებელი, უმეტესად ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენას და ამ სფეროში არაერთი პირის ჩართვასაც.

სწორედ ამ ფაქტორებითაა ნაკარნახევი სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის გამკაცრება ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ.

წარდგენილი კანონპროექტით, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის, სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ოდენობა 6-დან 10 წლამდე გაიზრდება. ასევე, 12-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის პირი, ვინც დიდი ოდენობით გაასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად იზრდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დადგენილი სასჯელი. კერძოდ, თუ დღეს მოქმედი რედაქციით, აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირისთვის გათვალისწინებულია 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, პროექტის თანახმად, ეს ვადა 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შემუშავებული ცვლილებების პროექტით, ასევე, მკაცრდება სანქციები ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის, ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისათვის.

წარმოდგენილი ცვლილებები სრულად იზიარებს საუკეთესი ევროპულ გამოცდილებას, მათ შორის ისეთი ქვეყნების, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და ა.შ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა და უახლოეს დღეებში, საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

წასულ ქეცბაიას ახალი კონტრაქტი დაუწიეს

ორი წლის წინ, კვიპროსულ „ანორთოსისში“ დაბრუნებულმა თემურ ქეცბაიმ განაცხადა, რომ კლუბს რაიმე ტიტულს აუცილებლად მოაგებინებდა. გასულ სეზონში, პანდემიის გამო, კვიპროსის ჩემპიონატი ვადაზე ადრე დასრულდა და კარგი საჩემპიონო შანსების მქონე „ანორთოსისი“ უტიტულოდ დარჩა. წლევანდელ სეზონში, ეროვნულ პირველობაზე, ქართველი სპეციალისტის გუნდმა ოქროს მედლებისთვის ვეღარ იბრძოლა, მაგრამ ქვეყნის თასზე ივარგა და ფინალი დაძაბულ ბრძოლაში, დამატებით დროში გატანილი გოლის წყალობით მოიგო. გოლი კი 110-ე წუთზე, გიორგი ქვილითაიამ შეაგდო.

ნამატჩევს, ქეცბაიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გუნდიდან მიდის და ყველას მადლობა გადაუხადა, თუმცა...

„ნუ ვიჩქარებთ. თემური ჩვენი გუნდის ისტორიაა, ის ლეგენდაა, მან „ანორთოსისი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ათამაშა და ახლაც, ამდენი უქმობის შემდეგ, ტიტული მოგვიპოვა, ამიტომ ასე ადვილად ვერ შეველევით. ქეცბაიას მაგიდაზე ახალ კონტრაქტს დავუდებთ და ის უარს არ იტყვის“, – განაცხადა „ანორთოსისის“ წარმომადგენელმა.

არადა, კვიპროსული მედია ამტკიცებს, ქართველ სპეციალისტს მაგიდაზე ბერძნული „პაოკ“-ის წინადადება უკვე აქვს და მზად არის, ხელი მოაწეროსო.

ჰუფნგელმა კარიერა დაასრულა

ლუკას ჰუფნგელი გერმანიაში დაბადებული ბიჭია, თუმცა როცა საქმე არჩევანზე მიდგა, დედით ქართველმა ლუკამ საქართველოს ნაკრებში თამაში არჩია. ეს იმედისმომცემი ფეხბურთელი საკუთარ რიგებში „ბაიერნმაც“ კი წაიყვანა, მაგრამ გაუთავებელი ტრავმების გამო, მას თავის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობა არ ეძლეოდა. ამიტომაც იყო, რომ 17 და 19-წლამდელ ნაკრებებში თამაშის შემდეგ, ეროვნულ გუნდში მან მხოლოდ ორჯერ შეძლო ასპარეზობა. სამაგიეროდ, ითამაშა ბუნდესლიგაში, მეორე ბუნდესლიგაში, ახლა კი მესამე ბუნდესლიგის „უნტერჰახინგის“ რიგებშია, თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ, 27 წლის ნახევარმცველი საფეხბურთო კარიერასაც ასრულებს.

„მიმდინარე სეზონის ბოლო მატჩი ჩემს კარიერაში უკანასკნელი იქნება. ტრავმის გამო კარიერას ვასრულებ, მომავალზე ვფიქრობ, დროს სწავლას დავუთმობ“, -განაცხადა ლუკამ.

რაც შეეხება ტრავმას, მას მენჯი აწუხებს, ტკივილი წელზე გადადის და ვარჯიში, პრაქტიკულად, აღარ შეუძლია. როგორც კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, ჰუფნგელს რიგიან გაცილებას მოუწყობენ და ვნახოთ.

„რუბინი“ – ევროთასებზე, კვარაცხელია – ევროპაში?!

ყაზანის „რუბინმა“ გასულ უქმეებზე დასრულებულ რუსეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და უკვე ზაფხულში ევროთასებზე იასპარეზებს. ამ ამბავს თათრეთის რესპუბლიკაში დიდი ზეიმი მოჰყვა, მწვრთნელ-ფეხბურთელებთან ერთად, მთელი ქალაქი ცეკვავდა და ზეიმობდა. თუმცა სეზონის დასრულებასთან ერთად, მთავარი კითხვა ჯერჯერობით პასუხგაუცემელია და მას ყველა გულშემატკივარი სუნთქვაშეკრული ელის. ყველას აინტერესებს, რას იზამს ხვიჩა კვარაცხელია?

„მისი ფასი, მინიმუმ 20, მაქსიმუმ – 30 მილიონი ევროა. „რუბინს“ 20-მილიონიანი წინადადებით ბევრი გუნდი მიმართავს, აი, 30 მილიონის გადახდას ერთეულები შეძლებენ. პარალელურად, კლუბის ხელმძღვანელობას კვარაცხელიას შენარჩუნება სურს და მას მეფურ კონტრაქტს უმზადებს“, – წერს რუსული მედია.

ვერ გეტყვით, რა იგულისხმება „მეფურ კონტრაქტში“, მაგრამ რუსულ პრემიერლიგაში თამაშობენ ფეხბურთელები, რომელთა ჯამაგირიც 6-7 მილიონ ევროს აჭარბებს.

ძიუდოს ნაკრები მსოფლიოსთვის დაირაზმა, თუმცა...

6-12 ივნისს, უნგრეთის დედაქალაქი ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. რეალურად, ეს ბოლო რეპეტიციაა ოლიმპიადის წინ და ამიტომ, ძალიან საინტერესო იყო, როგორ შემადგენლობას დააყენებდა ნაკრების თავკაცი, ლაშა გუჯეჯიანი. სიმართლე რომ ითქვას, სტატუსის მიუხედავად, მსოფლიო პირველობაზე, შესაძლოა, რამდენიმე ტიტულოვანი ძიუდოისტი არ წავიდეს და მთავარი აქცენტი ოლიმპიადისთვის მზადებაზე გააკეთოს. შესაბამისად, არ გაგვიკვირდეს, რომ ჩვენს გუნდშიც არ იყვნენ ზოგიერთ წონებში ფავორიტები, თუმცა მაინც უცნაურია, მაგალითად, გურამ თუშიშვილის არდაყენება, რომელიც საჭიდაო პრაქტიკას აშკარად საჭიროებს. თუმცა მწვრთნელის კომპეტენციაში არანაირად არ ვერევით და რაც მთავარია, 6 ივნისამდე, შემადგენლობაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია. ვიდრე მსოფლიოსთვის დასახელებული ნაკრების შემადგენლობას გაგაცნობთ, გეტყვით, რომ ვაჟებთან ერთად, გოგონებიც იასპარეზებენ და ქალთა გუნდის თავკაცმა, გია თენაძემ ბუდაპეშტისთვის ხუთი გოგო შეარჩია. პრინციპში, ჭიდაობაში სუსტი სქესის მეტი წარმომადგენელი არც გვყავს და ამ ხუთეულიდანაც ოლიმპიადის საგზური მხოლოდ ერთს, ეთერ ლიპარტელიანს აქვს განაღდებული, დანარჩენებმა კი სწორედ მსოფლიოზე უნდა ივარგონ.

ვაჟები: -60 კგ. – ლუხუმ ჩხვიანი, თემურ ნოზაძე; -66კგ. – ვაჟა მარგველაშვილი; -73კგ. – ლაშა შავდათუაშვილი; -81 კგ. – ლუკა მაისურაძე; -90კგ. – ბექა ღვინიაშვილი; -100. – ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე; +100კგ. – გელა ზაალიშვილი.

ქალები: -52 კგ. – ტატიანა ლევიცკა-შუკვანი, მარიამ ჯანაშვილი; -57კგ. – ეთერ ლიპარტელიანი; -70 კგ. – მარიამ ჭანტურია; +78 კგ. – სოფიო სომხიშვილი.

„დამწვით და ჩემი ფერფლი მშობლების საფლავზე მოაბნიეთ“

ლეგენდარული მედეა ჩახავა 100 წლის გახდა

ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, მედეა ჩახავა 1921 წლის 15 მაისს, მარტვილის რაიონის სოფელ სერგიეთში დაიბადა. გოგონამ პატარაობიდან ცეკვის სიყვარული გამოავლინა. 14 წლის იყო, როცა მამა ლენინგრადში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ოჯახთან ერთად გაგზავნეს. პატარა მედიკო ნევისპირა ქალაქის ერთ-ერთ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა. 1936 წელს, როცა ჩახავების ოჯახი ლენინგრადიდან თბილისში გადმოსახლდა, მომავალმა მსახიობმა ცეკვა ჯერ ჯანო ბაგრატიონთან, შემდეგ კი ილიკო სუხიშვილის ახლადგახსნილ საცეკვაო დასში გააგრძელა.

იმ დროს უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი არ არსებობდა, ამიტომ მსახიობობაზე მეოცნებე გოგონამ, სკოლის დამთავრების შემდეგ, საბუთები სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შეიტანა,

1943 წელს კი, სასწავლებლად, ახლადგახსნილ თეატრალურ ინსტიტუტში გადავიდა, სადაც მალე მომავალი მეუღლე, ნოდარ ჩხეიძე გაიცნო.

სახალხო პოეტის, გიორგი ქუჩიშვილის ვაჟი, თეატრალურ ინსტიტუტში სამედიცინო ინსტიტუტიდან მოხვდა. ნოდარ ჩხეიძე კარგად კითხულობდა ლექსებს, ბობოქარი და ბოჰემური პიროვნება იყო და მედეას მოხიბვლაც მოახერხა.

ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და მალევე დაქორწინდნენ.

1943 წელს, მომავალ მსახიობს თემურ ჩხეიძე შეეძინა, თუმცა წყვილი ერთმანეთს მალე დაშორდა.

1944 წელს, მედეა ჩახავამ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა და რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა.

მალე, კოტე მახარაძის სახით, ახალი სიყვარული ეწვია. მსახიობი ყოველთვის აპროტესტებდა კოტესთვის მიკერებული „დონ ჟუანის“ იარლიყს:

„დონ ჟუანი ქალებზე ნადირობდა. კოტეს კი არასოდეს უაქტიურია, პირიქით, ქალები აქტიურობდნენ. კოტეც, თავის მხრივ, უარს არ ამბობდა ლამაზ ქალებზე, მაგრამ ამის გამო, ჩვენ კონფლიქტი არ მოგვდიოდა“.

მედეა ჩახავას არც მერე ჩაუდია წყენა გულში, როცა კოტე ოჯახიდან წავიდა და არც მაშინ, როცა სოფიკო ჭიაურელთან ოჯახი შექმნა:

„ჩემი და კოტეს დაშორებაში სოფიკოს არანაირი წვლილი არ მიუძღოდა. ჩვენ რომ დავშორდით, მათ შემდეგ შეუყვარდათ ერთმანეთი და რატომ არ უნდა მქონოდა კარგი ურთიერთობა სოფიკოსთან? კოტე რომ უყვარდა?“

როგორც ბევრ სხვა მსახიობს, მასაც თეატრი უფრო უყვარდა, თუმცა კინომ უზარმაზარი სიხარული და პოპულარობა მოუტანა: ჟუჟუნა („ბედნიერი შეხვედრა“ – 1949 წ.), ცქრიალა („ჭრიჭინა“ – 1954 წ.), მელანო („ბაში-აჩუკი“ – 1956 წ.), მეეზოვე ქალი („მანანა“ – 1958 წ.), მეფოლადის ცოლი („დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ – 1959 წ.), ნინო („ნინო“ – 1959), თამრო („გლახის ნაამბობი“ – 1961), სოფიო („მხიარული რომანი“ – 1972 წ.) და სხვა.

ერთ-ერთ ინტერვიუში, მედეა ჩახავა ასეთ ამბავს ჰყვებოდა:

„1996 წელი იყო. არ ვიცი, რაღა მაშინ გადავწყვიტე კბილების გაკეთება, მაგრამ მაწუხებდა და რა მექნა?! კბილები ამოვიღე და მაკასთან წავედი მოსასვენებლად. უცებ გაიღო კარი და შემოცვივდნენ ნიღბიანი ბიჭები. მაკა სამზარეულოდან გამოიყვანეს, იატაკზე დასვეს, ჩვენს ნათესავ კაცს კი რევოლვერი მიაბჯინეს საფეთქელზე. მივხვდი, სალვადორ დალის ნახატს ეძებდნენ, რომელიც ჩემს სიძეს აჩუქეს საფრანგეთში. მას კი ეს ნახატი ერთ ახლობელთან, მოსკოვში ჰქონდა დატოვებული. მე და ბავშვები სააბაზანოში შეგვყარეს და ძებნა განაგრძეს. გულმა არ მომითმინა, გამოვედი და მძარცველებს ვეუბნები: მართალია, ჩემი ცნობა ძნელია, კბილები ამოღებული მაქვს და სახე შეშუპებული, მაგრამ მედეა ვარ, ჩახავა. ნუ იკადრებთ უკადრებელს, ბავშვებს ნუ შემიშინებთ-მეთქი.

დამაკვირდნენ და ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს. როგორც კი ამომიცნეს, ეგრევე დაყარეს ყველაფერი და მხოლოდ ერთი ჩარჩო (რომელშიც სხვა ნახატი იდო) წაიღეს. იმ დღეს დავრწმუნდი, რომ მიუხედავად გაჭირვებისა და გაუსაძლისი ცხოვრებისა, ხალხს კიდევ შერჩენოდა პატივისცემა და დიდსულოვნება ცნობილი ადამიანის მიმართ. გამიხარდა და გული ამიჩუყდა“.

ახლობლები ამბობენ, რომ სიცოცხლის მოყვარულ მსახიობს სიკვდილის შიში არ ჰქონდა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ, მიწის ქვეშ ყოფნა აშინებდა – უეცრად, მიწის ქვეშ რომ გამეღვიძოს, რა უნდა ვქნაო? ამიტომ შვილებს სთხოვდა, როცა გარდავიცვლები, დამწვით და ჩემი ფერფლი, ჩემი მოამაგე მშობლების საფლავზე მოაყარეთო, მაგრამ ამისთვის ვერ გაიმეტეს...

მედეა ჩახავა 2009 წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

Facebook-მა დაკარგული ბეჭედი აპოვნინა



აშშ-ს ჯორჯიის შტატში, ახალგაზრდა მამაკაცმა, საცოლისთვის ხელის სათხოვნელად, რომანტიკული ადგილი – პლაჟი შეარჩია. ბრაიან კერსიამ, ოკეანის სანაპიროზე სეირნობისას, რჩეულის წინ დაიჩოქა და ცოლობა სთხოვა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, ბრილიანტისთვლებიანი ნიშნობის ბეჭედი, ქვიშაზე კოლოფიანად დადო და საყვარელ ქალს გადაეხვია. ამ რომანტიკულ ისტორიას კურიოზული გაგრძელება მოჰყვა. ორიოდე წუთში, წყვილმა გააცნობიერა, რომ ბეჭედი კოლოფიანად „აორთქლდა“.

საცოლე თავიდან არც კი იჯერებდა, რომ ბეჭედი მართლა დაიკარგა და ეს ყველაფერი ხუმრობა ეგონა. რამდენიმესათიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, სახლში დაბრუნებულმა წყვილმა ეს ისტორია სოციალურ ქსელში დაწერა. ახალგაზრდები არ ელოდენენ, რომ მათ პოსტს ამდენი გამოხმაურება და ბედნიერი დასასრული ექნებოდა. რამდენიმე საათში, მათ მამაკაცი დაუკავშირდა და ბრაიანს კოლოფში ჩადებული ბეჭდის ფოტო გაუგზავნა. ასე რომ, Facebook-ის საშუალებით, შეყვარებულმა წყვილმა ნიშნობის ძვირფასი ბეჭედის იპოვა.

ვან გოგის ნახატებით ფსიქიატრიულში იმკურნალა



ჰოლანდიელი იმპრესიონისტის, ვინსენტ ვან გოგის უმცროსმა დამ, ვილემინამ, ცნობილი ძმის 17 ნამუშევარი გაყიდა, რათა ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობის ხარჯები დაეფარა. ამას მოწმობს ვან გოგის ოჯახის მიმოწერა, რომელიც ხელოვნების ისტროიკოსის, ვერლინდენის ახალ წიგნში – „ვან გოგის დები“ გამოქვეყნდა. წიგნი, რომელიც ორიოდე კვირაში გამოვა, გენიალური მხატვრის სამი დის – ვილემინას, ანასა და ელიზაბეტის ცხოვრების ისტორიას აღწერს. წიგნს საფუძვლად დაედო ვან გოგების ასობით პირადი წერილი არქივიდან, რომელიც არასდროს გამოქვეყნებულა. ვილემინას, ისევე, როგორც ვინსენტს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. 1902 წელს, ის ქალაქ ერმელოს საავადმყოფოში, შიზოფრენიის დიაგნოზით მოათავსეს. ვილემინამ კლინიკაში 40 წელიწადი გაატარა და 1941 წელს გარდაიცვალა.

სიყვარული გენეტიკურად განსხვავებულებს აკავშირებს

ბრაზილიელმა სწავლულებმა, პარანას უნივერსიტეტიდან, გაარკვიეს, რომ ადამიანები პარტნიორად ირჩევენ მათ, რომელთა გენომის ორგანიზაციაც განსხვავებულია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეუღლეებს უფრო ხშირად აქვთ გენეტიკური განსხვავება დნმ-ის ნაწილში (რომელიც იმუნურ სისტემას აკონტროლებს), ვიდრე შემთხვევით პარტნიორებს. სპეციალისტებმა 90 ცოლ-ქმრისა და შემთხვევით ამორჩეული 152 საკონტროლო წყვილის გენეტიკური მონაცემები შეადარეს.

გაირკვა, რომ დაქორწინებულ ადამიანებს გენომში (ჰისტოშეთავსების მთავარ კომპლექსში, რომელიც გავლენას ახდენს შთამომავლობის ჯანმრთელობაზე) უფრო მეტი განსხვავება აქვთ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დიდი ალბათობით, ასე ავლენს თავს განსაკუთრებული ევოლუციური სტრატეგია, რომელიც ჯანმრთელი მემკვიდრეების გაჩენის გარანტიას იძლევა. თუმცა მკვლევარები ვერ გარკვეულან, რა სიგნალები იზიდავენ ერთმანეთთან გენეტიკურად განსხვავებულ ადამიანებს. შესაძლოა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხეულის სუნი და სახის სიმეტრია.

ყველაზე ბედნიერები ისევ ფინელები არიან

ეს სკანდინავიური ქვეყანა ზედიზედ მეოთხედ დასახელდა ყველაზე ბედნიერ ქვეყნად. შესაბამისი რეიტინგი გაეროს ეგიდით ჩატარებული გამოკითხვების შედგეგად შედგა. გასულ წლებში, კვლევები სხვადასხვა ქვეყნების მცხოვრებთა პირდაპირი გამოკითხვებით ტარდებოდა, თუმცა ამჯერად, კორონა-ვირუსის საყოველთაო გავრცელების გამო, სიის შედგენისას, გამოიყენეს ის პარამეტრები, რაც პანდემიის დროს ადამიანების მდგომარეობაზე მიუთითებდა.

კვლევის ავტორების თქმით, მათ ორმაგი მიზანი ჰქონდათ: გაერკვიათ ვირუსის გავლენა ადამიანის ცხოვრების ხარისხსა და სტრუქტურაზე და მეორე – აღეწერათ და შეეფასებინათ, როგორ უმკლავდებოდნენ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობები პრობლემებს, პანდემიის დროს. ყველაზე ბედნიერების რეიტინგში, მეორე საფეხურზე დანია აღმოჩნდა, მესამეზე – შვეიცარია. ტოპ-ხუთეულში შევიდნენ, ასევე, ისლანდია და ნიდერლანდები. 149 ქვეყნიდან, სულ ბოლოში აღმოჩნდნენ რუანდა, ზიმბაბვე და ავღანეთი.

კოსმეტოლოგს სმარტფონი შეგიცვლით

ბევრი კოსმეტიკური საშუალება, თავსმოხვეულ რეკლამებს თუ დავუჯერებთ, ნამდვილ სასწაულს ახდენს. თუმცა მომხმარებელს, როგორც წესი, შედეგის რეალური შეფასება უჭირს. ამიერიდან, სუსტი სქესის წარმომადგენელთა ინტერესებს მათივე სმარტფონი დაიცავს. იაპონურმა კომპანიამ „ფუჯიცუ“, გაჯეტებისთვის სპეციალური სისტემა შექმნა, რომელიც კანის მდგომარეობაზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. აქამდე, მსგავსი გამოკვლევის ჩატარება მხოლოდ კოსმეტოლოგების მიერ, პროფესიონალური აპარატის გამოყენებით იყო შესაძლებელი.

მტვერსასრუტი დიასახლისს თავს დაესხა

ეს კურიოზული ინციდენტი, რომელიც კინაღამ ტრაგედიით დასრულდა, სამხრეთ კორეაში მოხდა. 52 წლის ქალბატონი, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, რობოტი-მტვარსასრუტის მოულოდნელი „თავდასხმით“ დაზარალდა. ყოველ შემთხვევაში, ასე განუცხადა მან შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო სამსახურის (911-ის ანალოგი) თანამშრომლებს. მათ ქალი იატაკზე დაგდებული ნახეს, რომლის თმაც მტვერსასრუტში იყო ჩათრეული. დაზარალებული ამბობს, რომ რობოტის მუშაობის დროს, ხალიჩაზე იყო წამოწოლილი. ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი რობოტი მითითებული პროგრამის მიხედვით მუშაობდა და იატაკს ალაგებდა. სამწუხაროდ, სულიერი ობიექტების ამოცნობა მოწყობილობას არ შეუძლია და ჩანს, დიასახლისი თმებით „დაითრია“. მაშველებმა შეძლეს ქალის აკურატულად დახსნა რობოტის „მარწუხებიდან“, ის სერიოზულად არ დაშავებულა.

გამჭვირვალე ყავა კბილებს არ გააყვითლებს

სლოვაკმა ძმებმა – დევიდ და ადამ ნაგიმ, მსოფლიოში პირველი უფერო ყავა შექმნეს, რომელსაც CLR CFF უწოდეს. ეს უჩვეულო იდეა ძმებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც დიდი ხნის განმავლობაში, კბილებზე გაჩენილ ყვითელ ლაქებს ებრძოდნენ, რომელსაც ყავა ტოვებს. ბიჭებმა გადაწყვიტეს, რომ შეექმნათ გამამხნევებელი ყავის ისეთი სასმელი, რომელიც ენერგიითაც დამუხტავდათ და ამასთან, კბილების ემალსაც არ გააფუჭებდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ყავა, გარეგნულად წყლიან ბოთლს წააგავს, მწარმოებლების მტკიცებით, ის მაღალხარისხიანი „არაბიკას“ მარცვლებისგანაა დამზადებული მეთოდით, რომელიც აქამდე, არავის და არასდროს გამოუყენებია. ძმები ექსპერიმენტებს სამი თვის განმავლობაში ატარებდნენ, რათა სასმელის იდეალური ფორმულისთვის მიეგნოთ. მათი მტკიცებით, ყავას „გრილი“ გემო აქვს, მის შემადგენლობაში არანაირი კონსერვანტი, საღებავი თუ დამატკბობელი არ არის. ამასთან, სასმელს შაქრის ან რძის დამატება არ სჭირდება. აღსანიშნავია, რომ ერთი, 200-გრამიანი ბოთლი 100 მგ კოფეინს შეიცავს. ორი ასეთი ბოთლის ღირებულება 7.6 დოლარია.

მრევლს რობოტი-მღვდელი ლოცავს

გერმანიის ქალაქ ვიტენბერგში, ევანგელისტურმა ეკლესიამ მღვდლის მექანიკური ანალოგი შეიმუშავა, რომელსაც მრევლის კურთხევა და ბიბლიის კითხვა შეუძლია. რკინის რობოტის სენსორულ ეკრანზე, შესაძლებელია ხმისა და კურთხევის ტიპის არჩევა, რის შემდეგაც, „მღვდელი“ ხელებს ზემოთ აღაპყრობს და ამბობს: „უფალმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ“. შემდეგ ისმის ამონარიდები ბიბლიიდან, რომლის ამობეჭდვაც მსურველს თავისუფლად შეუძლია. ჯერჯერობით, მრევლმა ვერ შეძლო მექანიკური მღვდლის სრულად შეფასება, რადგან „მანქანისგან“ კურთხევის მიღება ვერ წარმოუდგენიათ. თუმცა, სიახლის ავტორების თქმით, რობოტმა-მღვდელმა რელიგიისგან შორსმდგომი ადამიანები უფრო დააინტერესა, ბევრი მათგანი „მანქანასთან“ ყოველ დილა-საღამოს მიდის.

ბილ გეითსი ცოლს ეყრება

კორპორაცია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელმა, ბილ გეითსმა მეუღლესთან, მელინდასთან განქორწინება გადაწყვიტა. ცოლ-ქმარმა ერთად 27 წელი გაატარა. მილიარდერმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ეს გადაწყვეტილება მათ ერთობლივად მიიღეს. გეითსი წერს, რომ თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში, მელინდასთან ერთად, აღზარდა სამი შვილი, შექმნეს ფონდი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეხმარება ადამიანებს. მისი თქმით, ფონდში მუშაობას ორივე გააგრძელებენ. ბილ გეითსმა და მელინდა ფრენჩმა ერთმანეთი გასული საუკუნის 80-იან წლებში გაიცნეს. ისინი 1994 წელს დაქორწინდნენ. „ფორბსის“ მონაცემებით, „მაიკროსოფტის“ დამფუძნებლის ქონება 120 მილიარდ დოლარზე მეტია. „უოლ სთრით ჯორნალი“„ კი წერს, რომ მელინდა განქორწინებას საკუთარ იურისტთან, ჯერ კიდევ 2019 წლიდან განიხილავდა. გაზეთის ცნობით, წყვილის დაშორების ერთ-ერთი მიზეზი, ფინანსიტ ჯეფრი ეპშტეინთან გეითსის კავშირი იყო. ეპშტეინი, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და პროსტიტუციაში ჩაბმის ბრალდებით, 2019 წლის ზაფხულში დააკავეს. ერთ თვეში კი მან საკანში თავი მოიკლა. ბილ გეითსის პრეს-მდივნის თქმით, ბიზნესმენებს ერთმანეთთან მხოლოდ ქველმოქმედება აკავშირებდათ. თუმცა მილიარდერი ამ შეხვედრებს ნანობს და აღიარებს, რომ ეს შეცდომა იყო.

მოტეხილ ძვლებს მარტივად აღადგენენ

სტენფორდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა მოტეხილი ძვლებისა და ხრტილების დაზიანებული ქსოვილების აღდგენის მარტივ მეთოდს მიაგნეს. მათი მოსაზრებით, დაზიანებული ძვლებისა და ხრტილების აღდგენა უბრალო ოპერაციითაა შესაძლებელი, რომლის დროსაც, ჩონჩხის კუნთების ღეროვანი უჯრედები დაზიანებულ ნაწილში შეჰყავთ. სწავლულებმა ისეთ მექანიზმსაც მიაგნეს, რომელიც საშუალებას იძლევა, ცხიმოვანი უჯრედები ღეროვან უჯრედებად აქციონ. ეს აღმოჩენა მედიკოსებს საშუალებას მისცემს, უახლოეს მომავალში, ჩონჩხის სისტემის დაღვევების მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშაონ, მაგალითად, ძვლების მოტეხილობების, სიმყიფის, ოსტეოსარკომისა და ხრტილების დაზიანების დროს. ორთოპედ-ქირურგებს, წელიწადში, ლამის მილიონჯერ უხდებათ დაზიანებული სახსრების ხრტილების პრობლემებზე მუშაობა. ისინი იძულებულები არიან, ამოკვეთონ, რადგან აღდგენას არ ექვემდებარება, ხრტილის ქსოვილის უკმარისობა კი პაციენტისთვის პირდაპირი გზაა ართრიტისკენ – აცხადებენ სპეციალისტები. ეს აღმოჩენა საშუალებას იძლევა, პაციენტისვე მუსკულატურიდან აღებული ღეროვანი უჯრედებიდან ახალი ხრტილი გამოზარდონ.

შაკიკს პლასტირით უმკურნალებენ

კომპანია Theranica-ის მიერ შექმნილი პლასტირი – Theranica, სმარტფონის საშუალებით კონტროლდება და შაკიკის დროს, ტკივილის სიმწვავეს ამცირებს. სისტემა შედგება პლასტირისგან, ელექტროდებისა და კომპიუტერული ჩიპისგან, რომელიც უსადენო არხით, მობილურ მოწყობილობას უერთდება. სისტემა ახდენს ხელის კანქვეშ ნერვების სტიმულირებას, ბლოკავს ტკივილის სიგნალებს და არ აძლევს ტვინამდე მიღწევის საშუალებას. სისტემა უკვე გამოსცადეს მოხალისეებზე. 71 ადამიანს, რომელთაც ეპიზოდური შაკიკი (2-3 შეტევა თვეში) ჰქონდათ, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში არ იღებდნენ თავის ტკივილის გმაყუჩებელ პრეპარატებს. მათ ნაწილს უბრალო პლასტირი მისცეს, ნაწილს კი – Nerivio Migra. ის ხელის მტევნის ზედა ნაწილში მაგრდება, როცა შაკიკის შეტევა იწყება. გამოყენების ხანგრძლივობაა 20 წუთი, თანაც მოხალისეებს რაიმე მედიკამენტის მიღება აუკრძალეს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ნერვების სტიმულაციამ ტკივილის სიმწვავის 50%-ით შემცირება შეძლო პაციენტთა 64%-ში, 58%-ში კი ტკივილი საერთოდ გაქრა.

პალტო-ჩემოდანი ავიამგზავრებისთვის



ავსტრალიელმა დიზაინერებმა პალტო გამოიგონეს, რომლის ჯიბეებშიც, 15 კილოგრამამდე წონის ნივთების მოთავსებას შეძლებთ. როგორც ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება თვითმფრინავის სალონში განსაზღვრული წონის შეტანის პრობლემას მოხსნის. პალტოში, რომელსაც Airport Jacket უწოდეს, 14 ღრმა ჯიბეა ჩაკერებული. მისი სიგრძის რეგულირება შესაძლებელია – მსურველი შეძლებს ის მოკლედ ატაროს, ან პირიქით – მუხლამდე და კოჭებამდეც კი დააგრძელებს. სიახლის მწარმოებლები გვარწმუნებენ, რომ მთლიანი სიგრძის პალტოში თავისუფლად დაატევთ: ორ ნოუთბუქს, ერთ პლანშეტს, ორ წყვილ ფეხსაცმელს, ერთი-ორ ჯინსის შარვალს, ხუთ მაისურს, ჯემპრსა და ფოტოაპარატს. ეს ნივთები, უბრალოდ, ჯიბეებში სწორად უნდა განათავსოთ. ფრენის შემდეგ, შეგიძლიათ, პალტო სპორტული ჩანთის მსგავსად გამოიყენოთ, სადაც ყველა ნივთი აკურატულად განთავსდება. ავტორების თქმით, პალტოში საკმარისი ნივთები ეტევა, რათა მოგზაურმა, ნებისმიერ ადგილზე, რამდენიმე დღე გაატაროს. ამასთან, სანერვიულო არ ექნება, რომ ბარგში ჩაბარებული ჩემოდანი დაიკარგება. რაც მთავარია, თვითმფრინავში ატანისას, დამატებით თანხას აღარ გადაიხდის.

ჰოლანდიელები „ეროტიკულ ცენტრს“ ააშენებენ

ამსტერდამის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „წითელი ფარნების კვარტლის“ ალტერნატივა შექმნას. დედაქალაქის მერმა, ჰალმსმა პროექტი წარადგინა, რომლითაც ამსტერდამთან ახლოს, ხუთსართულიანი „ეროტიკული ცენტრი“ უნდა აშენდეს. შენობის ფართობი 5 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. ცენტრში განთავსდება ორი ბარი, ასამდე ოთახი ინტიმური გართობისთვის და სტრიპტიზ-კლუბი. როგორც „გარდიანი“ წერს, ამ გადაწყვეტილებით, დედაქალაქის მერი სექსმუშაკებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ამავდროულად, ამსტერდამის ცენტრის „გასუფთავებას“ გეგმავს. „ეროტიკულ ცენტრში“ შესვლა ფასიანი იქნება, რაც ნაკლებად მიიზიდავს ტურისტებს. ახლა კი „წითელი ფარნების კვარტალში“ გასეირნება უფასოა. ამსტერდამის სავიზიტო ბარათად ქცეული კვარტლის დახურვის გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მიიღეს. ამის მიზეზად ქალაქის ტურისტული იმიჯის შეცვლა დასახელდა.

საკუთარ ქორწილში ძროხა ამშობიარა

ავსტრალიელმა ქალმა, ჯეს ლოუსმა საკუთარ ქორწილში ძროხა ამშობიარა. „დეილი მეილის“ ცნობით, საქორწინო ცერემონია „მწვანე კონტინენტზე“, ქალაქ პორტლენდის მახლობლად, ერთ-ერთ ფერმაში მიმდინარეობდა. ამ დროს, ერთ-ერთმა ძროხამ მშობიარობა დაიწყო, პატარძალმა მიატოვა ცერემინია და პირუტყვს დაეხმარა. საქორწილო კაბაში გამოწყობილი ლოუსს, შვიდი ფერმერი ეხმარებოდა. საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ქორწილიც გაგრძელდა, ახალდაბადებულ ხბოს კი Destiny (ბედისწერა) დაარქვეს.

142-წლიანი თესლიდან მცენარე გაახარეს

მიჩიგანის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ექსპერიმენტის ფარგლებში, დათესეს თესლი, რომელიც 142 წლის განმავლობაში ინახებოდა. შედეგად, მათგან 11 ჩითილი უკვე აღმოცენდა. 1879 წელს, ამერიკელმა ბოტანიკოსმა უილიამ ჯეიმს ბილმა, სხვადასხვა მცენარის ათასობით თესლი შეაგროვა, ბოთლებში ჩაყარა და მიწაში დამარხა. ბილს სურდა შეემოწმებინა, წლების ან ათწლეულების შემდეგ, გაიხარებდა თუ არა მათგან მცენარეები. ბოტანიკოსის ჩანაფიქრით, ყოველ ხუთ წელიწადში, სწავლულებს 20-დან ერთი ბოთლი უნდა ამოეთხარათ და მასში არსებული თესლი დაეთესათ. მოგვიანებით, ბილის მიმდევრებმა გადაწყვიტეს, ბოთლი 10 წელიწადში, შემდეგ კი, 20 წელიწადში ერთხელ ამოეღოთ. ცოტა ხნის წინ, მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მიწიდან ბოლო ბოთლი ამოიღეს და მასში არსებული თესლი დათესეს. მსოფლიოში ერთ-ერთი, ყველაზე გრძელი ექსპერიმენტისას, პირველი ამონაყარი უკვე ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა. ბოტანიკოსები აპირებენ, თავადაც გააგრძელონ ექსპერიმენტი – მოამზადებენ და ჩამარხავენ ბოთლებს თესლებით, როგორც ეს საუკუნენახევრის წინ, ჯეიმს ბილმა გააკეთა.

აფრიკელმა ქალმა 9 ტყუპი გააჩინა

25 წლის აფრიკელმა ქალმა, საკეისრო კვეთით, 9 ტყუპი – 5 გოგონა და 4 ბიჭი გააჩინა. ბედნიერი დედა „მხოლოდ“ შვიდ შვილს ელოდა, რადგან ულტრასონოგრაფიულმა კვლევებმა მხოლოდ შვიდი ბავშვის არსებობა დაადასტურა. მალის მცხოვრები ქალბატონი ჰალიმა სისე, თავიდან დედაქალაქ ბამაკოს კლინიკაში იმყოფებოდა, შემდეგ კი, უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, იგი მაროკოში, ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მშობიარეს დამატებითი კვლევები ჩაუტარდა. ცნობილია, რომ ამ ეტაპზე, დედაც და შვილებით თავს კარგად გრძნობენ. ჰალიმას მდგომარეობას, ლამის მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალს, რადგან ამდენ ბავშვზე ორსულობა უიშვიათესი მოვლენაა და მათი ნაწილის დაღუპვის რისკიც დიდი გახლდათ. სწორედ ამის გამო, დედის მაროკოში გადაყვანა გადაწყდა, სადაც 5 კვირის განმავლობაში, ის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. სულ მალე, გმირი დედა და შვილები სამშობლოში დაბრუნდებიან.

ძაღლი მდიდრულად დაკრძალა

აშშ-ში, ერთ-ერთი ეკლესიის პასტორმა, საკუთარ მოპსს მდიდრული დაკრძალვა მოუწყო. 7 წლის ძაღლი ავად იყო და მოკვდა. პატრონმა მას ვერაფერი უშველა, მაგრამ ძალიან განიცადა საყვარელი ოთხფეხა მეგობრის დაკარგვა და გადაწყვიტა, უკანასკნელ გზაზე შესაფერისად გაეცილებინა. პასტორმა გამოსამშვიდობებელ დარბაზში, ღია კუბო დადგა მკვდარი მოპსის სხეულით, რომელიც უამრავი ყვავილით მორთო, კუბოს უკან კი, ფარდაგზე ამოქარგული, საყვარელი ცხოველის გიგანტური პორტრეტი ჩამოკიდა. მღვდელმსახურმა პროცესიის ამსახველი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი ძაღლი უკნასკნელ გზაზე გააცილა.

მაღვიძარა ძილისგუდებს თანხას ჩამოაჭრის

იაპონელმა გამომგონებლებმა შექმნეს ახალი აპლიკაცია-მაღვიძარა Mezamee, რომელიც დაგვიანების შემთხვევაში, მითითებული საბანკო ანგარიშიდან, მომხმარებელს თანხას ჩამოაჭრის. აპლიკაციის მიზანია, მომხმარებელი აიძულოს, არ დააგვიანოს. ამისთვის მან პროგრამაში უნდა შეიყვანოს მონაცემები – რომელ საათზე უნდა იყოს ამა თუ იმ ადგილას. თუ ის დათქმულ დროს, თავისი სახლიდან 100 მეტრზე ახლო მანძილზე იქნება, აპლიკაცია ბარათიდან გარკვეულ თანხას ჩამოაჭრის. მომხმარებელს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა თანხას დაკარგავს დაგვიანების შემთხვევაში, თუმცა, „ჯარიმის“ მინიმალური თანხა 100 იენია.

ავეჯს ძველი პირბადეებით ამზადებს

ახალგაზრდა კორეელი დიზაინერი, ჰანეულ კიმი ერთჯერადი გამოყენებული პირბადეებისგან ფერად სკამებს ამზადებს. თავდაპირველად, 23 წლის კიმი, ნახმარ ნიღბებს მეგობრებს სთხოვდა, თუმცა მიხვდა, რომ წამოწყებისთვის ეს საკმარისი არ იქნებოდა და ამიტომ, კორეის ხელოვნებისა და დიზაინის ინსტიტუტში, სპეციალური კონტეინერები დადგა, სადაც მსურველებს გამოყენებული პირბადეები უნდა დაეტოვებინათ. კიმი მათ აგროვებდა და სითბური მოწყობილობით ადნობდა. ერთი სკამ-ტაბურეტის დასამზადებლად, დიზაინერს, დაახლოებით, 1500 პირბადე სჭირდება. "ვიმედოვნებ, მსოფლიოში პროცესები ისე განვითარდება, რომ პირბადეები გამომელევა, ხოლო დედამიწაზე – კორონავირუსის პანდემია დასრულდება", – აცხადებს ახალგაზრდა კორეელი.

ძილში ფულს გადაუხდიან

ამერიკული კომპანია Eachnight, რომელიც სწორი ძილის შესახებ კვლევებს ატარებს, მოხალისეებს ეძებს. ექსპერიმენტში მონაწილეებს, ერთი თვის განმავლობაში, დღისით ძილში – 1 500 დოლარს გადაუხდიან. კვლევის მიზანია, დღისით ძილის სარგებლის შესახებ რამდენიმე თეორიის შემოწმება. 30 დღის განმავლობაში, მოხალისეები სხვადასხვა ტესტირებაში მიიღებენ მონაწილეობას. მათ შორის, დაადგენენ, რამდენსაათიანი ძილია საჭირო დასვენებისთვის, რა გავლენას ახდენს დღის ძილი მეხსიერებაზე, მოტივაციასა და შრომის პროდუქტიულობაზე – აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები. ექსპერიმენტში მონაწილეობა ნებისმიერი ქვეყნის 18 წელს ზემოთ მოქალაქეს შეუძლია. აუცილებელი პირობაა ინგლისურის კარგად ცოდნა, რათა მკვლევარებს თავისი ძილის შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდონ. მსურველებმა განაცხადი კომპანიის ვებგვერდზე, თვის ბოლომდე უნდა შეავსონ.

ნევროლოგიური სიმპტომები სიკვდილის ალბათობას ზრდის

კორონავირუსით დაავადებულ პაციენტებში, რომელთაც ნევროლოგიური სიმპტომები განუვითარდათ, სიკვდილიანობის ალბათობა რამდენჯერმე იზრდება – ასეთ დასკვნებს აკეთებენ ამერიკელი სწავლულები, პიტსბურგის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტებმა კვლევა ვირუსით ჰოსპიტალიზებული, უფროსი ასაკის 3 800 პაციენტზე ჩაატარეს. მათგან 82%-ს ნევროლოგიური სიმპტომები აღენიშნებოდათ, მათ შორის, თავის ტკივილები, გემოსა და სუნის დაკარგვა, ასევე, მწვავე ენცეფალოპათია, კომა (17%), ან ინსულტი (6%). სწავლულებმა გაარკვიეს, რომ კოვიდთან დაკავშირებული, ნებისმიერი ტიპის ნევროლოგიური მდგომარეობის გართულების რისკი ორჯერ იზრდება. ისეთი სიმპტომებიც კი, როგორებიცაა გემოსა და სუნის დაკარგვა, სიკვდილიანობის რისკს 6-ჯერ ზრდის.

უფასო ლუდი აცრის სანაცვლოდ

აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორი, ფილ მერფი, ბოკალ ლუდს პირდება შტატის ყველა სრულწლოვან მცხოვრებს, რომელიც ამ თვეში, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრება. „ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პროგრამა – „აცრა და ლუდი“, შტატის მცხოვრებლებს ვაქცინის მიღების სურვილს გაუჩენს. 21 წელს გადაცილებული ნებისმიერი ნიუჯერსელი, რომელიც ვაქცინის პირველ დოზას გაიკეთებს და შესაბამის სერტიფიკატს პროგრამაში მონაწილე ლუდსახარშში მიიტანს, უფასოდ მიიღებს ქარვისფერ სასმელს“, – დაწერა გუბერნატორმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე და თან ლუდსახარშების ჩამონათვალიც დაურთო. ეს ნაბიჯი ხელისუფლებას ბევრმა არ მოუწონა და ის მოსახლეობის ალკოჰოლით მოსყიდვაში ჩაუთვალეს.

უჩვეულო სასჯელი ღალატისთვის

ირანელ ქალს, რომელმაც ქმარს უღალატა, ორი წლით, მორგში გვამების გასუფთავება მიუსაჯეს. მანამდე კი, როზგით 74 დარყმის ატანა მოუწევს, ხოლო მის საყვარელს უფრო მეტის – 99-ის. მეტიც, მამაკაცს ქვეყნის მიყრუებულ რაიონში გადაასახლებენ. როგორც ცნობილია, მოღალატე ცოლი 35 წლისაა. სასჯელის ზომა მას თეირანის სასამართლომ გამოუტანა, რომელსაც ექსპერტებმა „გამაოგნებელი“ უწოდეს. საერთოდ, მუსულმანური ქვეყნები ცნობილია თავისი პრინციპული დამოკიდებულებით ღირსების საკითხების მიმართ, მაგრამ ქალის გაგზავნა მორგში, თანაც ორი წლით, მკვდრების დასაბანად, გასაკვირი გადაწყვეტილებაა ირანისთვისაც კი!

ყველაზე გრძელი, დაკიდებული ხიდი გახსნეს

მსოფლიოში ყველაზე გრძელი, დაკიდებული, საფეხმავლო ხიდი პორტუგალიაში გაიხსნა. ის 175 მეტრის სიმაღლეზეა გაჭიმული, რომლის სიგრძე 516 მეტრია. ხიდზე პირველი გამვლელები ამბობენ, რომ ეს ძალიან შთამბეჭდავია. „აქ სიარულისას, ადამიანს სუნთქვა ეკვრება, თუმცა ეს, ენით აღუწერელი ადრენალინია“, – აცხადებენ ისინი. ადგილობრივების თქმით, ეს ხიდი იმედის ნაპერწკალია. ის ინვესტიციებს მოიტანს და უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა. ყველაზე გრძელი, დაკიდებული ხიდი სამი წელი შენდებოდა. მასზე 2 მილიონ 300 ათასი ევრო დაიხარჯა. ახალ ხიდზე გასეირნება ფასიანი იქნება და 12 ევრო ეღირება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.